

# დასავლეთკავკასიელი საქართველო

La Géorgie  
Indépendante  
Revue mensuelle  
M A I  
1929—№ 41

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ა უ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ო ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—26 მიისი.  
ერთი პანაშვიდის გამა.  
რ. ინვილი—მაისი და თებერვალი.  
ს. ფინცხალავა—მომავალი საქართველო.  
დ. შ.—«აი რა უყვეს საქართველოს».  
ბ. არიძე—რუსეთის ს.-დემ. და ეროვნ. საკითხი.

ა. ჩხენკელი—მემორანდუმი...  
ზ. ჩიხუა—ჩემი მოგონება.  
უცხოეთის მიმოხილვა.  
თა—პროკრუსტოს სარეცელი.  
დ. ბელკვაძე—ქართველები ხარბინში.  
ოქმი ერ.-დ. პარ. პასუხ. მგებელ წევრთა... და სხვ.

## 2 6 მ ა თ ე

კიდევ ერთი 26 მაისი უცხოეთში. მეცხრე 26 მაისი მონობაში, ტყვეობაში, ძაძებში. საუკეთესო მამულიშვილი დაბოცილნი, დაპატიმრებულნი, გადასახლებულნი.

განა კიდევ დარჩა ვინმე? თითქო არავინ! ყველა, ვინც დაეტოვებოდა, ცნობილნი, ნაცადნი, ბრძოლაში გამობრძმედილნი,—არ არიან. მტერმა მოხსნა ისინი ან სამუდამოთ, ან დროებით. მის ბატონობის უკანასკნელ დღემდე.

დაიხს, ისინი არ არიან, მაგრამ... რიცხვი მებრძოლთა, მათ მოადგილეთა, მატულობს, მრავლდება! ჩვენ არ ვიცნობთ მათ, არაფერი გვსმენია, არიან უმეტესათ ნორჩნი, ჭაბუკნი, ბავშვებად რომ დაეტოვებოდა. აი, ვინ განაგრძობს დღეს ქვეყნის ხსნის საქმეს, ვინ უტევს მტრის ურდოებს, არ აძლევს მათ მოსვენებას, უფროსობს ძილს.

მტერი ეტაპს ეტაპზე გზავნის ცივ და მწირ მხარეებში, არ დაგიდევთ არც ასაკს, არც სქესს, არც ჯანმრთელობას. ნახევრათ შიშველნი, მშვიერ-მწყურვალნი, ნაცემნი, ნაწამებნი ჯურღმულეებში. ისინი მიემართებიან ახალ გოლგოთისსაკენ, გაუტყეხელნი სულით, ანთებულნი ღვთაებრივი ცეცხლით.

არიან მათ შორის სრულიად გაუნათლებელი გლეხებიც, პოლიტიკაში უჩვეულონი, მტრის თარეშით გაცნობიერებულნი, თავის და უნებურათ ბრძოლაში ჩაბმულნი.

ჩვენ არც ისინი გვავიწყდება, ვინც უჩინრათ, მტრის თვალის არიდებით, ლესავენ მახვილს: წვრთნიან გონებას, იძენენ ცოდნას, იწმინდებიან ტანჯვის ალში, და უცდიან დროს, რომ მყისვე შეუდგენ განთავისუფლებულ და გავერანებულ მამულის კვლავ აღდგენას, აღორძინებას.

აი, დღევანდელი საქართველო, ქართველი ერი,

წამების შერავანდელით მოსილი, არა ერთხელ წესაგებული მტრის მიერ, ხოლო ცოცხალი, ოდნავ შეფერფლილი, ისევ ცეცხლმფრქვევი, განახლებული, უძლევი.

ჩვენ ვეყრდნობით ამ საქართველოს, აქედან გამოვდივართ, მით ვცოცხლობთ, და ვართ ამიტომ შეუღრეკელი ჩვენს მისწრაფებაში, უშიშარნი ჩვენს მოქმედებაში.

სანატრელია საქართველოსთვის თავდადება, ის თავდადება გმირთა ქვეყანაა. საამაყო მის სამფეოვან დროშის ქვეშ ბრძოლა, იმ დროშის, რომლის წინაშე მტერმაც კი ქელი მოიხარა, იცნო, იცნეს მრავალმა სხვა ქვეყნებმაც, და ფრიალებს დღესაც... სამშობლოს გადაღმა.

როდის აფრიალდება ის გმირთა ქვეყანაში, საქართველოში?! აი, კითხვა, რომელიც უღრმესი სიმწვავეთ ებადება თვითველ ქართველს, განსაკუთრებით დღეს, სამშობლოში თუ მის გარეთ, მთაში თუ ბარში, ქოხში თუ სახელოსნოში, საპყრობილეში თუ სამლოცველოში.

ჩვენ არა ერთხელ გვიპასუხნია ამ კითხვაზე, პასუხი იგივეა, მხოლოდ კიდევ უფრო კატეგორიული, ერთად-ერთი: შორს არ არის დრო, როცა ისევ აფრიალდება თავისუფლების დროშა საწარელ და იმავე დროს საყვარელ მეტეხის კოშკზედ, და ამცნევს გაჭალარებულ დედა-ქალაქს ბორკილების და მსხვრევას, უღლის გადაგდებას.

ეს არ არის მარტო სურვილი, ოცნება, არც მარტო ქართველ ერის მტკიცე ნებისყოფა, განსახიერებელი, არა ერთხელ, საგმირო საქმეებში.

ამ პასუხს ამოიკითხავთ მტრის მახინჯ სახეზედაც, ამბობენ, ის უფრო გამძლე გამოდგა, ვინემ ფიქრობდნენ... მაგრამ ვასდა ის ამით უფრო მძლავრად.

ვრი, უფრო იმედია, უფრო უზრუნველყოფილი? არამც და არა! გამძლეობა გამოიხატა ჯერ-ჯერობით და უძღოლურებაში, დაბრუნებაში, გახრწნაში, აბუჩათ ავღებაში მოახრუნვე კაცობრიობის მიერ.

რაც უფრო მიძინა მისი მდგომარეობა, მით უფრო იღრინება, იშუქრება, იწყევლება. შეეჩვივნენ, არ ახდენს შთაბეჭდილებას.

მაგრამ არც ის შეიძლება ითქვას, რომ არ აინტერესებთ. პირიქით. საერთაშორისო ფინანსური და სამრეწველო ჯგუფები უკვე სინჯვენ მის ტყავს, ლამის წაიკიდონ! ზოგი კიდევ მოსკოვს მიემგზავრებიან, რომ მაჯა გაუსინჯონ...

და კრემლი, ეს ამჟამად კრემლი, ფართოდ უღებს ალაყაფის კარებს «იმპერიალისტურ ლავეებს», თავდაბლათ უშვებენ ხელებს, გულ-მკერდს: მოდი, გამსინჯეთ, დიაგნოზი დამისვით.

არის ეს გამარჯვება თუ დამარცხება? აღმშენებლობა თუ დანგრევა? მიღწევანი თუ დაქცევანი?

პკითხეთ თვით ბატონებს, ბოლშევიკებს. აერი-ათ დავთარი, ერთმანეთის არა ესმით, ნიშს უგებენ. ხოლო უფროაგვის მათ შორის, სტალინი, ხან ერთს ურტყამს კეტს, ხან მეორეს, ატუსაღებს, ასახლებს «ამხანაგებს». მატულობს მათი რიცხვიც, ახალ დევნილთა, და ეს გაგრძელდება მანამდის, სანამ თვითონ არ დაიდგამს «წამების გვირგვინს»!

რუსის ხალხიც ცხად ნიშნებს იძლევა, რომ მასაც მოსწყინდა ზურგის ამდენი შეშვება მედროვეთა თარეშისთვის. ხდება უჩინარი გარდაქმნა მის ავებულეებაში, გროვდება ბოღმა, ზვირთდება ტალღები და საცაა გადმოჰქუფს, თავზარდამცემი.

უფრო შეგნებულ და მოქნილ ბრძოლას ეწევიან არარუსი ერები არა მარტო რეჟიმის, არამედ, პირველ ყოვლისა, უცხო ბატონობის წინააღმდეგ. მათ წინაშე სდგას კითხვა: შესძლებენ თუ არა ისინი ისარგებლონ პირველი მოხდენილი მომენტი, რომ დაიბრუნონ დაკარგული თავისუფლება?

საბედისწერა კითხვა! ვგრძნობთ თუ არა ჩვენ მთელს მის სიმძიმეს? ვართ თუ არა პასუხისმგებელნი მის ასე თუ ისე გადაჭრაში?

ჩვენ ვსდგევართ ორი განუზომელი საშიშროების წინ: უცხოეთი უთვალთვალებს სულთმოძრავ ს. ს. რ. კავშირს, დისტორიებს კიდევ, და, ვინ იცის, იქნება ისე გადაჭრას ერთა და ხალხთა სვე-ბედი, რომ მათ არც კი დაეკითხოს, ფაქტის წინაშე დააყენოს ისინი; ჩვენ ერთობ შევეჩვიეთ რეჟიმის «გამძლეობას» და, შეიძლება, ისე მოულოდნელათ დაგვატყდეს თავს

მისი პირქვე დაშვება, რომ ნანგრევებში ჩვენი თავისუფლებაც შიგ მოჰყვეს.

რით შეგვიძლია ამ ორი საშიშროების თავიდან აცილება? არაჩვეულებრივი სიფხიზლით, მთელი ჩვენი უნარის გამოაშკარავებით, პოლიტიკური აქტივობის უმწვერვალესი განვითარებით.

ესეც არ კმარა. საჭიროა მდგომარეობის შესწავლა, აწონ-დაწონვა, შეფასება. საჭიროა მოქმედების გეგმა, სადღეისო, სახვეალიო. უნდა ვიცოდეთ, სადაა სიმძიმის ცენტრი, ვისთან, რაში.

ერთი ამ თავითვე ცხადია: რაც შეიძლება მჭიდრო კავშირი სხვა არარუს ერთა მებრძოლ ორგანიზაციებთან. ყველაზე მეტი ამ მხრივ ქართველ მესვეურთ მოეთხოვებათ, მათგან უცდიან გაბედულ ნაბიჯებს, თაოსნობას.

კავკასია, ოთხი რესპუბლიკა, ოთხი ერი დაცულ უნდა იქნენ ყოველ სიურპრისისგან, ყოველ უცაბედ ნახტომისაგან. საჭიროა ითქვას ხმაძალა, საქვეყნო, დაურიდებლათ, რომ ეს ოთხი რესპუბლიკა ერთმანეთს ეკუთვნიან, არიან მთლიანი, ერთი დივისი, კონფედერატულ დივისი, მატარებელი. ყოველივე, რაც მათ ჰყოფს, დაიწყებულ უნდა იქნეს; რაც აერთებს, წინა რიგზედ წამოყენებული.

უნდა ითქვას ესეც: ზოგჯერ ისე მოგეჩვენებათ, რომ ჩვენ, ქართველებს, თითქო უფრო გვესმის სხვა ერებთან კავშირი, ვინემ ურთიერთ შორის! ჩვენ ვლაპარაკობთ საერთო ეროვნულ ფრონტზე, რომელიც «დამოუკიდებელმა საქართველომ» თავის დროზედ დაიწერა, ემსახურება მას მთელის თავის არსებით.

ამ ეროვნული ფრონტის ოდნავ შესუსტებაც ისტორიული დანაშაულია. ამისათვის პისუხს ვაგებთ ქვეყნის წინაშე. ეს იქნებოდა მამა-პაპათა ანდერძის გატეხვა, გათხრილ ახალ სამარეთა შეგინება.

ჩვენ პატარა ერთ ვართ, სათვალავშია თვითეული პარტია, ჯგუფი, წრე, თვითეული პიროვნებაც. დაუდევრობა, ბედოვლათობა ამ მხრივ სრულიად მიუტევებელია.

აბა შეხედეთ იმ თეთრ რაშს, ჰაბუკი რომ ასე მარდათ მოჯდომია ზურგზედ. მას გზას უნათებს შვიდი მნათობი, მისი თვალეები მისჩერებია ერთ წერტილს, ლახვარიც იქითკენ იკაფავს გზას...

ვინ არის ის? ქართველი ერი! დახარეთ მის წინ დროები!

ოცდაექვსი მაისია.

მ რ თ ი პ ა ნ ა შ ვ ი დ ი ს გ ა მ ო

ჩვენს რედაქციას ბლომად მოსდის წერილები, აღსავსე აღშფოთებით და გულის წყრომით იმ პირთა მიმართ, ვინც «ქართველ მეომართა» სახელით მოაწყო და გადაიხადა პანაშვიდი დიდი მთავრის ნიკ. ნიკ.-ძის სულის მოსახსენებლათ.

ჩვენ გვესმის ეს აღშფოთება. ასი წლის შემდეგ, მსოფლიო ომის წყალობით, საქართველო, ამაღლებული ეროვნულ ღირსების შე-

გნებამდე, ისევ გამოვიდა საერთაშორისო ასპარეზზე, აღადგინა თავის შელახული უფლებანი და შეუდგა თავის დამოუკიდებელი არსებობის განმტკიცებას. ამ დიად ისტორიულ გადატეხის დროს, საჭირო იყო სამხედრო ძალა და საქართველომაც დაუყენებლივ გამოჰყო თავის წიალიდან მხენ და თავგანწირული ჯარი ქართველ მეომრებისა. ჯარმა გამოიარა ბრძოლის ქარიშხალი და სახელი «ქართველი მეომრისა»



გახდა მარადიული ემბლემა დიდის წმინდა მოვალეობის—სამშობლოს განთავისუფლებისა რუსეთის იმპერიალიზმის ბრწყალებისაგან.

შეორე მხრივ, ვინ არის დიდი მთავარი ნიკოლოზ ნიკოლოზისძე? — ესეც ემბლემაა, მაგრამ ემბლემა რუსეთის იმპერიალიზმის, ემბლემა საქართველოს ვერაგულათ დამხობის და მის მიწა წყალზე რუსეთის ბატონობის მთელი საუკუნის განმავლობაში.

«ქართველი მეომარი» და «დიდი მთავარი», ეს ორი სახელწოდება აღნიშნავს ორს სხვადასხვა არსს, სხვა და სხვა იდეას, სხვა და სხვა სულისკვეთებას. ეს არის ორი სხვადასხვა ბანაკი, მტრულად და შეურიგებლათ განწყობილნი ერთი მეორისადმი. შეუძლებელია ამ ორი შემეცნების მოთავსება მატერიალურათ — ერთ და იმავე ტერიტორიაზე, როგორც შეუძლებელია მათი მოთავსება მორალურად — ერთ და იმავე შეგნებაში.

ცხადია ამიტომ, «ქართველი მეომრის» სახელის შეკავშირება «დიდი მთავრის» სახელთან, თუნდაც საპანაშვიდოთ, შეიცავს სიყალბეს და შეურიგებელ წინააღმდეგობას: ან «ქართველი მეომარი» არ არის ქართველი მეომარი, მას ხელი აუღია თავის ისტორიულ დანიშნულებას და დავიწყებია თავის ეროვნული ღირსება, — ან და «დიდი მთავარი» არ უნდა იყოს დიდი მთავარი, მატარებელი იმ იდეურ შინაარსისა, რომელიც ყველას ცხადი და უდავო პკონია.

შეიძლება გვითხრან, რომ დიდი მთავარი თანაუგრძობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ამის აღთქმაც კი მოუციაო. ჩვენ ეს არ გგონია. მაგრამ თუნდაც ეს მართალი იყოს, რა ფასი აქვს ამისთანა აღთქმას? რუსეთს ხელშეკრულებაც კი არ შეუსულეებია, მერე როგორი? დადებული საერთაშორისო წესით, დაბეჭდილი სახელმწიფო ბეჭდით და

ოფიციალურად შეტანილი საიმპერიო კანონების კრებულში.

შეიძლება კიდევ გვითხრან, რომ დიდი მთავარი ებრძოდა ბოლშევიკებსო, მაგრამ ვინ არ იცის, რომ ამ ბრძოლაში ჩვენ რუსებთან არა გვავკვს ერთი გზა ერთი მიზანი. რუსები იბრძვიან იმისთვის, რომ გამოსცვალონ ეხლანდელი ბოლშევიკური რეჟიმი და დაამყარონ სხვა რომელიმე, რუსეთის რეჟიმი კი რუსეთის შინაური საქმეა და ჩვენ იმას არ ვეხებით და იმისათვის არც ვიბრძობებთ. ქართველი ერთი კი იბრძვის თავის სუვერენობის აღდგენისათვის და განაგრძობს ბრძოლას იმ დღემდე, სანამ რუსეთი სრულის პატივისცემით არ მოეპყრობა საქართველოს შელახულ უფლებებს.

შეიძლება ზოგმა ისიც იფიქროს, რომ პანაშვიდი უბრალო რელიგიური აქტია და ამით შეიძლება მოგვეგო ბევრი რუსის გულიო. ესეც შემცდარი აზრია. არ უნდა დაგვაიწყდეს, რომ ამისთანა გამოსვლაში ყოველთვის ჩართულია საკითხი ეროვნული ღირსებისა. პანაშვიდის გადახდა ისეთი პირისათვის, რომელიც თვითონ იყო გამომხატველი და მატარებელი რუსეთის ძალადობისა საქართველოს მიმართ, უფრო წაავავს ქართველ მეომრის წმინდა დანიშნულებას ხელის აღებას, ყოველი რუსი და არა რუსიც ამისთანა «ქართველ მეომარს» შეხედავს სიბრალულით. თუ არა ზიხლით... საქართველოს სიბრალული არა სჭირია. მისი იმედები დამყარებულია არა სიბრალულზე, არამედ საერთაშორისო სამართალზე და იმ გმირულ სულზე, რომელიც ყოველთვის აცხვრელებდა მას და რომლის მატარებელი უნდა იყოს ყოველი ქართველი მეომარი.

ასეთია ჩვენი შეხედულება და დარწმუნებული ვართ, ეს შეხედულება სავსებით ეთანხმება ქართველი საზოგადოების აზრს. ამიტომ რედაქცია სპობს ამ საკითხის შესადებ ყოველ პოლემიკას.

შ ა ი ს ი და თ მ მ მ რ ვ ა ლ ი

რაც უკანდაუკან მიიწევს დროთა ბრუნვაში საქართველოს უფლება-მოსილობის თარიღი, მით უფრო მეტი შარავანდელი ეფინება მას და დარაზმულ ქართველობის გულშიც უფრო მეტი განცდების აღმძვრელი ხდება.

ესლა ყველამ კარგათ შეიგნო, რომ 26 მაისის მნიშვნელობა ქართველი ერის ცხვრებაში დიდისაგან დიდია, განუზომელია! თუ შედარება მოსატანია, შეიძლება ითქვას, რომ ეს დღე იგივეა საქართველოს ახალს ისტორიაში, რაც საქრისტიანოსთვის აღდგომა: თუ ამ უკანასკნელმა დაამთავრა მესიანიზმი და გამართლება მისცა ნაწარველის მოსვლას, 26-მა მაისმაც განაცხვრევა «ბაბილონის ტყვეობაში» მყოფ წინათაობათა დღემუდამი ნატვრანი და ექვით შეპყრობილ ხალხებს დაანახვა, რომ «შესაძლებელ არს რაიმე კეთილი» ტვილისიდანაც გამოვიდეს; და ისევე, როგორც პირველყოფილი ცოდვით დაწიანებულ კაცობრიობას აღდგომა უნდა მოჰვლენოდა თავისი სოტერიოლოგიური მოცულობით, ასევე

მონათ ქმნილი ქართველი ერისათვისაც 26 მაისი შეწევნისა და ხსნის პაზრით გამოცხადდა!

ამ დღის ასეთი მნიშვნელობა გასაგებათა ჰხდის მტრის გაცოფებულ ზიხლსაც მისადმი: დამპყრობელებმა იმთავითვე ნიშანში ამოიღეს 26 მაისი და, ვინ მოსთვლის, რაოდენ ცდას მიჰპართეს, რომ ქართველი ხალხის გულის-ფიცარზე ამოჭრილი დიდებისა და თავისუფლების თარიღი ჭუჭყში ამოეგანგლათ!..

მტერი არწმუნებს ქართველ ხალხს, რომ 26-მა მაისმა მას უცხო უღელი დაადგა და «საერთაშორისო კაპიტალიზმის» ყურმოჭრილ ყმად აქცია! მოსკოვის ნოჭრები განაგრძობენ შემდეგ, რომ მხოლოდ მათი მოპატიჟებით ქართველ მუშებმა და გლეხებმა მოიხვეჭეს ნამდვილი თავისუფლება... მაისის ნაცვლად თებერვალი იდღესასწაულეო, ასე ჩასჩინებენ ქართველობას ჟღობას არიერგარდისტები... ძირს მაისი, გაუმარჯოს თებერვალსო!.. და ყველა ამის გამგონი ქართველი უცვლელათ და ერთსულოვნათ მაისს დღესასწაულობს. თებერვალს-კი გლოვობს!

რატომ?

იმიტომ რომა, უხსოვარ დროთაგან აღმოხეთქილ და შინაარსითა და თავგადასავალით აღსავსე ისტორია გამოვლილმა ერმა ფიქრთანა აწონდაწონა მოვლენანი და შესაფერისი დასკვნაც გამოიტანა:

ქართველს უყვარს მისი—სიცოცხლის მომნიჭებელი,

სძულს თებერვალი—სამარის გამთხრელი!

მისმა სულშენუთული ქვეყანა საამო მზით გააშუქა,

თებერვალმა ჩააქრო მნათობი და ქვესკნელის მწყვდიადი დაჰვინა!

მისმა საქართველოს განუცხოველა შეწყვეტილი ისტორია და უფალი გაჰხადა თავისი ხელისა, თებერვალმა კვლავ ჩალურსმა ერი და ხელისუფალი მონად აქცია!

მისმა საქართველოს ალაყაფს ყანგიანი კლიტე აპკლიჯა და ცივილიზაციას მიუგვარა შეუდრეკელი ხალხის ნიჭი და უნარი,

თებერვალმა ხელმეორედ გადაგვირაზა კარები და სხივოსანი მხარე ჩრდილოს სუსხით შეხუთა...

26 მისი გაელვარებული შუქია, განახლებულსა და ეროვნულად გაჯანსაღებულ საქართველოს წარმტაცი იმედებით აღსავსე მომავლის გზებს რომ უჩვენებს! ეს დღე არის სიმბოლო შეუჩერებელი სვლისა—საბოლოო გამარჯვებისაკენ, თავისუფლების დამკვიდრებისაკენ, ბრძოლა მოხდით ერის დიდებისაკენ!..

26 მისმა საუკუნოებში წარსულ სახელმოხვეცილ დღეთა ძლიერი სული ერთხელ კიდევ შთაჰბერა ქართველობას, თითქოს გამოცდა სწადდა, რაოდენად ღირსნი ვართ ქართლოსიანთა გვარის ტარებისა!

უხილავ სანახაობით განცვიფრებულნი წინაპართა ლანდები აღარა ჰმორდებიან ჩვენი ქვეყნის ცას:

თავისუფლების ბაირადი საიმედო ხელშია!

გამარჯვების დღე გვიანლოვდება!

დღეაქალაქი მოელის ერის დროშას, რომ, დღეს გულადულებული, კვლავ ამღერდეს მისი კალთების ცემით.

რ. ინცილო.

მ ო მ ა ვ ა ლ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

წერილი მივიღე იქიდან, საქართველოდან. მწერს მეგობარი: «მინდა გამოგესაუბრო, ბევრი გელაპარაკა, თუმცა ძნელი კია ჩემთვის, რაზედ უნდა შეგჩერდე უპირველესად, რა უფრო საინტერესოა და საგულისხმეოა შენთვის, თქვენთვის, რომლებიც ასე შორს ხართ და მართალია დიდის სიფიზილით ადევნებთ თვალყურს ჩვენს ცხოვრებას თუ მწერლობის, თუ მიწერმწერის, თუ ჩამოსული ადამიანების საშუალებით, მაგრამ რამდენი რამაა მინც თქვენთვის მიუწოდომელი, რამდენი ზამ რჩება გაუგონარი და უამბობი, რამდენი წვრილმანია, რომელიც შეიძლება არც ვინმემ გადმოგცეთ, მაგრამ რომელიც ესოდენ მუვერმეტყველია და საუცხოვოდ დამახასიათებელი ჩვენი დღევანდელი სინამდვილის!

მიძინდება დიად საუბრის გაბმა—არის მოვლენები—არა მთავარი—, რომელთაც ერთნაირად არ ვაფასებთ, უეჭველია. შეუძლებელიცაა, თქვენ და ჩვენ ერთნაირად მივუდგეთ ყველა საკითხს—იქ და აქ ხომ სულ სხვადასხვა წესებისა და სულიერი განწყობილების ქვეშ იმყოფება ადამიანი. ასეა თუ ისე, თქვენი ცხოვრება ნორმალურია, რაც არის, იმას ეძახით მანდ «არის», რაც არ არის—«არ არის», ღამე დღედ არ გეჩვენებათ და დღე ღამედ. სიმშლი დალხინება არაა და უჭკუობა სიბრძნე. აქ კი ამის შეგნება ხშირად, ძალიან ხშირად დაკარგულია. ბოლშევიკების მუშაობამ ყველაფერი ყირამალა დააყენა და ყოვლის უწინარეს გონება, ადამიანობა. არა ერთხელ მიფიქრა, რომ გიქების სამეფოში. გაპირუტყვევებითა სამეფოში ვიმყოფებით და როცა ქუჩაში მივდივარ, მეშინია ხანდახან, ვინმე არ მეცეს და ცოფიანივით არ დამკბინოს...

მაგრამ ყველაფერი ეს ერთი მხარეა და თუ ბოლშევიკების ამდენი წლის ბატონობამ მრავალი სიბო-

როტე და სიავე დასთესა, მისი მეოხებით თუ გარყვნილება აღვირაშვებელი დათარეშობს, ყველგან უკიდურესი გაჭირვებაა. სულიერი ღირსება დევნილია, მონობა და მლიქვნელობა პატივცემული, თუ თავისუფლება ამოშლილია სიტყვარიდანაც კი, თუ სიმართლის თქმა და სამართალი აკრძალულია, თუ კულტურობა სამარცხვინო გახდა და ერის შვილობა არალეგალური—ამდენმა საშინელებამ, წამებამ. დევნამ მინც ვერ ჩაკლა ხალხის გულში ღრმად ჩანერვილი ზნეობრივი და გონებრივი სიმთლე. რომელიც გამოქედა ჩვენს ერში მრავალი საუკუნის კულტურულმა ცხოვრებამ და რომელმაც მიანიჭა მას დიდი გამძლეობა ათასგვარ განსაცდელში. მიიმე გაჭირვება და აუტანელი დღევანდელი პირობები თითქოს მეტს გამოფხიზლებას იწვევს, მეტს გონიერულობას და შეგნებას საკუთარი თავისას, თავის ღირსების, თავის მეობის...

თქვენ მაქედან ხშირად გვაცნობებთ ხოლმე კომუნისტების კრიზისების შესახებ თუ მანდ, თუ აქ თვითონ საბჭოების სამფლობელოში. ხოლო არა მგონია, რომ თქვენ მაქაურები ჩვენზე უფრო ხედავდეთ და გრძნობდეთ მათ ნამდვილ გასაჭირს. მართალია, სახალხო კომისრები ისევ დახრიგინებენ დანჯდრეულ ავტომობილებში, ისევ იმართება პარადები, კრებები, ზეიმები, გაიხახიან «ურას» და «გაუმარჯოს», იწერება დაუსრულებელი წერილები მიღწევებზე და გამარჯვებებზე, ისევ გაჰკვივან ელექტროფიკაციასა და ინდუსტრიალიზაციაზე, მსოფლიო რევოლუციასზე და კომუნისტურ სამოთხეზე, მაგრამ ყველაფერს ამას არ ამშვენებს, გარეგნულად მინც, რწმენა და ხალისი. გაცვთენ ბოლშევიკური ლოზუნგები, გამრენ სიტყვები, გახუნდენ დროშები! დღეს რაც კეთდება, კეთდება უსულოთ, უგულოთ, უიმე-



დოთ, ბოლშევიკებმა დაჰკარგეს პერსპექტივა, მისწრაფების საგანს ვეღარ ხედავენ—ის დაიკარგა—და ამ უკმაღ მხოლოდ მექანიკურად, ინერციით განაგრძობენ მოქმედებას. ინერცია კი ხომ არ შეიძლება იყოს ხანგრძლივი იმპულსი. მოკვდა ბოლშევიკების ხვალე—ამას ხედავენ ბოლშევიკები თვითონ, ხედავენ არაბოლშევიკები, მთელი ხალხი, ყველა მოლოდინშია...

ჩაუკვირდეთ ახლა ამას: ჩვენს ხალხს წინად ადვილად იტაცებდა სიტყვიერი ილუზია, მალე იჯერებდა და დაპირებებს, სიბლავდა მოკაზმული სიტყვებით დღეს ეს გააქრა, მიდის და უკვე ვეღარავის დაიმორჩილებ საოცნებო აღთქმებით. ბოლშევიკურმა წყობილებამ ყველას თვალი აუხილა, სკეპსისი და კრიტიკულობა დაბადა და თუ ათჯერ არ გახვია და არ მოსინჯა კარგად, ისე არაფერს ღებულობს. ხალხმა შეიგნა, რომ ცხოვრების მოწყობა ლამაზის განცხადებით და აჭრელბულის აფიშებით არ შეიძლება, არამედ საჭიროა დიდი ცოდნა და გამოცდილება და დიდი მუყაითი მუშაობა. თუ შეიძლება ასე ითქვას, ხალხი დაშორდა ცას, და უფრო მიწაზე დამკვიდრდა, გარეალისტადა, ხოლო ვახდა უფრო ღონიერი და მტკიცე. ამან უნდა გააფრთხილოს როგორც უკიდურეს მემარცხენე ექსპერიმენტების მოტრფიალენი, აგრეთვე ის მემარჯვენენი, რომელნიც ამა თუ იმ სახის დიქტატურით ფიქრობენ თავისი განყენებული გეგმები მოახვიონ ხალხს და იძულებით აცხონონ ქვეყანა. მეტად მწვევედ განიცადა ხალხმა ბოლშევიკური ძალდატანების შედეგები და მსგავსი მოვლენების განმეორებას აღარ შეურიგდება, რომელი მხრიდანაც არ უნდა მოხდეს ეს. ბოლშევიკების მართვლობამ თვალსაჩინოდ დაუმტკიცა ხალხს, თუ რაოდენ სიბოროტეს წარმოადგენს სხვისი ბატონობა, და წყურვილი დემოკრატიისა, საღი ჭეშმარიტი დემოკრატიისა, არასოდეს ყოფილა ისე ძლიერი, როგორც დღესაა. ხალხის დაუკითხავად, შეუზღებლად, მისი რეალურ ინტერესების გარეშე ვერავითარი წყობილება ვერ მოიკიდებს ფეხს ჩვენში—ასეთია უქვეყნო დასკვნა აწინდელი მდგომარეობის...

ამასთან დაკავშირებულია ის საკითხი, რომელიც ერთნაირად განსიკუთრებით გვანტერესებს ჩვენც და მაქაურებს—ესაა ეროვნული თვითშეგნება, ხომ გახსოვს, როგორი შიში არსებობდა ჩვენს ეროვნულ ხელმძღვანელებში დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს—ვაი თუ ხალხი რაოდენიმედ უნდობლად შეხვდეს რუსეთისაგან ჩამოშორებას და თავის სუვერენობის აღდგენას? ისიც კარგად გახსოვს უთ-

უოდ, თუ როგორი უკმაყოფილონი იყვნენ ზოგიერთები, როცა ეროვნული დროშა აფრიალდა დამფუძნებელი კრების სახურავის თავზე... ოპ, როგორ განსხვავდება დღევანდელი საქართველო იმ დროინდელიდან, რა უსამზღვრო მანძილია გავლილი! სამი წლის თავისუფალმა ცხოვრებამ წარუხცველი კვალი დასტოვა ხალხში და ოკუპანტების, უცხოელების ბატონობამ კიდევ უფრო გააღრმავა და გააძლიერა ეროვნულ დამოუკიდებლობის სიყვარული. თავისუფალი, საკუთარი სახელმწიფოებრივი არსებობა უაღრესი სანეტარო მისწრაფებაა დღეს მთელი ქართველობისათვის. ეს დამოუკიდებლობა მოსილია უმალესი შემოქმედების; განვითარების და სულიერი სიმშვენიერის შარავანდელით, ამაშია ჩაქსოვილი უდიდესი ბედნიერება და ყოველი ქართველი, ყოველი კუთხის, ყოველი წრის, გულისფანცქალით, სარწმუნოებრივი სასოებით შეპყურებს და ლოცულობს დამოუკიდებლობის აღდგენაზე. ამდენმა მსხვერპლმა, დევნამ, ჭირმა და უბედურებამ, ბოლშევიკების მთელმა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ უკიდურესამდე გაამახვილა ქართველი ხალხის ეროვნული შეგნება და იგი მეტად მგრძობიარე გახდა ყველაფრის მიმართ, რაც შეეხება მის ეროვნულ პიროვნებას და დირსებას. ქართველი და სხვა, უცხო, გარეშე-დადგენ პირისპირ: ერთია—თავისუფლება, მეორე—მონობა. ქართველობამ შეიგნა თავისი საკუთარი მეობა მწარე სინამდვილით, უცხოს ტლანქმა ქუსლმა გასთელა მისი თავისუფლება და კეთილდღეობა და უცხოს უნდა დაშორდეს, უნდა აღიდგინოს საკუთარი კერა, თვითონ იყოს თავის პატრონი—თავის თავს ეკუთვნოდეს. საკუთარი სახელმწიფო, საკუთარი, კულტურა. საკუთარი შემოქმედება—ესაა გარდაუვალი, აუცილებელი, უპირველესი დღევანდელი საქართველოს შეგნებით. ამისგან მოელის შევლას, ამისკენაა მიმართული მთელი გულისყური. ამის დამძლევი არავინაა, ეს დღეს ქართველი ხალხის სტიქია...

აი, მეგობარო, ზოგი რომ კარგი ქართველობის ახლანდელი განაწამები ცხოვრების. იკმაზე ამ უკმაღ ეს. დღევანდელი დღის სიმძიმეს ეს გვიმსუბუქებს და გვაძლევს იმის სრულს რწმენას, რომ ბოლშევიკებისაგან დაჭრილი და დასუსტებული საქართველო მალე განკურნავს თავის ტკივილებს თავისუფლების აღდგენის შემდეგ და განამტკიცებს თავის არსებობას უკეთეს საფუძვლებზე, ვიდრე ეს შესძლო წინად.»

ასე მწერს მეგობარი სამშობლოდან—მე სავე-ბით ვიზიარებ მის შეხედულობას.

ს. ციციშვილი

„ა ი რ ა უ მ ვ მ ს ს ა მ ა რ თ ვ მ ლ ო ს“ )

ფრანგ მწერალს, პანრი ბარბიუსს, კარგად იცნობს ჩვენი მკითხველი. თავის ქვეყანაში მან სახელი გაითქვა იმით, რომ პირველმა ასახა მხატვრულად დიდი ომის საშინელებანი ცნობილ რომან «ცეცხლ-

\*) Henri Barbusse. Voiala ce qu'on a fait de la Géorgie. Paris.

ში». მას შემდეგ ბარბიუსს თვალსაჩინო არაფერი დაუწერია. ხოლო ამ უკანასკნელ დროს ის დაშორდა წმინდა მხატვრულ შემოქმედებას და თავისი ნიჭი და კალამი რუს ბოლშევიკების და საბჭოთა რეჟიმის სამსახურს უძღვნა. მისი ამ ასახარეზე «შემოქმედების» დავგირავინება ესლახან პარიზში გამოსული მისი წიგნი: «აი რა უყვეს საქართველოს».

თავისი წიგნის მე-25 გვერდზე ბარბიუსი ქებითა და მადლობით მოიხსენიებს იმ პირთ, ვინც მას საქართველოში ერთი ადგილიდან მეორეზე ჰხლებიათ და მისთვის წიგნში დაგროვილი მასალა მიუწოდებიათ; ამ «მოძრაება წრემ მომცა საშუალება ერთი ტრიმესტრის (ოთხი თვის) განმავლობაში შემედგინა სრული შრომა, რომელიც დაუბოლოებელი და იქნებ შეუქლებელიც გახდებოდა სხვა პირობებში». მკითხველი იფიქრებს, მართლაც საფუძვლიანათ და სავსებით შეუსწავლია სავანიო. ნამდვილათ კი ბ-ნ ბარბიუსს არაფერი არ შეუსწავლია გარდა იმ ჟორებისა, რომლითაც ის დატვირთა მისმა «მოძრაება ანტურაჟმა» (წრემ), რომელსაც შეადგენდნ უვიცი წვრილფეხა კომუნისტები, ვილაც კობიძე, ბერიძე, თედრია, თარჯიმანი—რუსი დუხოვნი და სხვა მათ მაგვარნი. რა უნდა ეწოდოს იმ მწერალს, რომელიც საქართველოზე სამას გვერდიან წიგნს ადგენს და რომელსაც ქართველობის ეთნიურ შემადგენლობაზე ან მის საზღვრებზე წარმოდგენაც არა აქვს! ორიოდე მაგიერით. მე-12 გვერდზე ბარბიუსი ჩამოთვლის ამიერკავკასიაში ქართველების გვერდით მობინადრე ერებს (nationalité); ესენი არიან: «სომხები, თურქები, თურქმენები, ქურთები, მეგრები, რუსები, ბერძნები, ჩერქეზები, ებრაელები, რომ არ ვილაპარაკოთ ოსებზე, სვანებზე, აბხაზებზე, დაღესტნის ლეკებზე, ინგუშებზე, ყარაჩაელებზე»... იმავე გვერდზე: «საქართველოში არ არის არც ერთი კუთხე, სადა მართლ ქართველები ბინადრობენ». ამას ავტორი სწერს გუბიაში ყოფნის დროს! მეორე ალაგს (გვ. 26) ბარბიუსი თურქმენებს ქართველების მოსაზღვრეებათ აცხადებს!

თუ ასეთია ბარბიუსის აწერაში საქართველოს ეთნოგრაფია და გეოგრაფია, რაღა უნდა იყოს მისი მოთხრობილი პოლიტიკური ისტორია. ამ უადრეს ინტერნაციონალისტს და ვითომდა იმპერიალიზმის მტერს თავისებური ისტორიული თეორია ჰქონია, რომლითაც იგი საქართველოს წარსულს და აწმყოს უდგება: საქართველოს რუსეთის მიერ დაპყრობა წარსულ საუკუნის დასაწყისში მომხდარა «ისტორიული მიმზიდველობის კანონების» ძალით: «დიდის (რუსეთის) და პატარას (საქართველოს) დაახლოვებას შედეგათ მოჰყვა, ისტორიულ მიმზიდველობის კანონის თანახმად, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსია 1801 წელს». «ისტორიკოსები ამბობენ, რომ ალექსანდრე I «სულდიდობით» ხელმძღვანელობდა როცა საქართველოს იერთებდა. მეტი რომ არ ვთქვათ შესაძლებელია, რომ კითხვის ამნაირათ ერთ-ბაშათ გადაჭრამ საქართველო გადაარჩინა შინაგან დაქუცმაცებისა და ფიზიკური განადარებებისაგან» (გვ. 80). ეს კარგად ცნობილი იმპერიალისტური ფილოსოფია ისტორიისა ბ-ნ ბარბიუსს გამოადგება წიგნის დასასრულს წითელი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის გასამართლებლათ: პატარა ერს დამოუკიდებლათ არსებობა არ შეუძლია, მას აპეკუნი სჭირია; რომ არ საბჭოთა რუსეთი, კავკასიის ერები ერთმანეთს დასჯამენ ან ოსმალეთის ლუკმად განდებინანო.

1905 წლის რევოლუციის შემდეგ «საქართველო-

ში გაიზარდა მენშევიკების გავლენა, რადგან გამარჯვებული რეაქციის შურისძიება უფრო პირდაპირ და უფრო ძლიერად სცემდა ბოლშევიკებს»-ო (გვ. 100). აი როგორ ისტორიას სწერს ბარბიუსი კობიძეების და ბერიძეების შთავაზნებით! სხვა არ იყოს. სწორედ 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ სტალინი-ჯუღლაშვილი სამუდამოთ გააძევა საქართველოდან არა რეაქციის შურისძიებამ, არამედ სოც.-დემ. ორგანიზაციის დადგენილებამ რუსეთის დღევანდელი მპყრობლის «ექსპროპრიატორულ» მოღვაწეობისათვის.

სახელმწიფო დუმის ხანაზე ბარბიუსი ისეთ რამეებს მოგვითხრობს, რომ პირდაპირ გიკვირს—როგორ შეიძლება ასეთი ზღაპრების საქვეყნოთ გამოტანა. დუმის არჩევნებმა თურმე გამოააშკარავა საქართველოში «ნაციონალისტების ძალა და მენშევიკების სისუსტე» და «სახ. სათათბიროების კონსტიტუციონურ კომედიის ხანაში შეიქმნა ალიანსი ნაციონალისტ-ფედერალისტთა და მენშევიკების შორის. თუმც პირველთ, როგორც პარტიას, უფრო ღრმათ ქონდათ ვადგმული ფესვი, ისინი ხალხისთ აბარებენ თავის ინტერესებს მენშევიკებს» და სხვ. და სხვ. (გვ. 100). ქართველმა დეპუტატებმა მართალია შეიტანეს დუმაში კანონპროექტები გლეხობის და კერძოთ დროებით-ვალდებულების და ხიზნების სასარგებლოთ, მაგრამ ეს პროექტები მათ «ცუდათ დაიცვეს». «მეორე მხრით, ქართველი ს.-დემ. დეპუტატები არ გამოვიდნ პროტესტით ეროვნულ უმცირესობათა ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგო», ხლო ბოლოს და ბოლოს კავკასიის დეპუტატებმა «ხელი აიღეს მუშათა მოთხოვნილებებზე და «ნაციონალისტურ პლატფორმას დაადგნო». 1914 წელს კი მათ ტაში დაუკრეს იმპერიალისტურ ომს» (გვ. 102-103).

რა საჭიროა ამ ტყუილის გოდოლის გაქარწყლება ქართულ გამოცემაში! ვავისენოთ მხოლოდ რომ 1914 წელს, ომის გამოცხადებისას, კარლო ჩხეიძე გასაცვიფრებელი გამბედაობით ამხილა მეფის მთავრობის იმპერიალისტური ბუნება და თავის ამხანაგებთან ერთად საომარ ხარჯების წინააღმდეგ მისცა სხა. ბარბიუსის მეგობარ კაშენზე რომ არ ვილაპარაკოთ, ასეთი გაბედული პოზიცია არც ერთ სოციალისტურ პარტიას არ დაუჭერია 1914 წელს ევროპის არც ერთ პარლამენტში.

თებერვლის რევოლუციის ჩვენში ასე ავგიწერს ბარბიუსი: დიდმა მთავარმა ნიკოლოზ ნიკოლოზის ძემ «მენშევიკურ დელეგაციებთან ითათბირა «ქვეყნის მართვის საუკეთესო საშუალებებზე». მუშათა და გლეხთა საბჭოები? დიახ—არსებობდა, მარა არავითარი რეალური როლი არ ჰქონიათ» (გვ. 105). ხლო როცა შეეხება დამოუკიდებლობის გამოცხადებას აქ ხალხი ან მისი წარმომადგენლები, თვით ს.-დ. პარტიაც კი, არაფერ შუაში ყოფილან: არ იხსენიება არც ეროვნული საბჭოს როლი, არც მუშ. დეპუტატების დადგენილება, არც დამფუძნებელი კრების არჩევნები, მისი შემადგენლობა და ერთმითი დადასტურება 26 მაისის აქტისა, ყველაფერი ნოე ყორღანის ჩაუდენია თვითნებათ: «არც პარტიას, არც ხალხს არ მიუცია მისთვის საამისო მანდატი. ყორ-



დანამ თვითონ, ვითარცა ტახტიდან ჩამოგდებულმა მეფემ, დააყენა ხალხი და პარტია ამ გზაზე» (გვ. 132).

დამოუკიდებელ საქართველოს ხომ არაფერი გაუკეთებია ხალხისათვის. «ახალი საქართველოს კონსტიტუცია იყო მხოლოდ შეღამაზებული ფასადი ძველი წყობილებისა, აქა-იქ დასავლეთ დემოკრატიის წაბაძვით». «სამი წლის განმავლობაში არც ერთი სოციალური რეფორმა, ამაში ჩვენ ადგილობრივ და ვერწმუნდით». «სოციალისტურმა მთავრობამ, მართალია წითელი დროშა გამოიწია, მაგრამ მიწები დას ტოვა დიდი მესაკუთრეების ხელში, რომლებიც მას მხარს უჭერდნენ... «არაფერი არ გაკეთებულა 8 საათის სამუშაო დღისათვის. იგივე მუშათა კანონმდებლობა, რაც ცარიზმის დროს იყო... ეკლესია არ ჩამოუშორებიათ სახელმწიფოსაგან...» (გვ. 117). ხოლო ნაციონალურ სფეროში. მენშევიკებმა გააჩაღეს ეროვნული ბრძოლა და ომები: არამც თუ სომხებს დავსხმივართ თავს, ოსმალეთსაც («ომები ოსმალეების წინააღმდეგ»)! «ეროვნულ უმცირესობათა მიმართ იგივე პოლიტიკა რასაც ცარიზმი აწარმოებდა» (გვ. 117).

ეკონომიურ სფეროში სრულიად დაგვიანრევიან სახალხო მეურნეობა, რა თქმა უნდა. კაპიტალისტების ჯიბის გასასქელებლათ. სასოფლო მეურნეობა ისე დაცემულა, რომ თურმე «1917-1919 წელს საშინელი შიმშილობა მოევიწინა» ჩვენს სოფელს (გვ. 16). ქართული ბონის დაცემას რამდენიმე ალაგს აღნიშნავს და ხშირად და სიამოვნებით ლაპარაკობს ჩვენი ფინანსების «კატასტროფაზე», ხოლო არც ერთხელ არ იხსენებს, რა თქმა უნდა, რომ ჩვენი ბონი თვით 1921 წლის დასაწყისს 100-ჯერ მეტს ფასობდა ვინემ რუსული მანეთი.

ადგილი წარმოსადგენია როგორ ასწერს ბარბიუსი რუსეთის ჩვენზე თავდასმას. საქმის უცოდინარი მკითხველი იფიქრებს საქართველო ვეებერთელა სახელმწიფო იყო, რომელიც საშინლად ავიწროებდა საბრალო რუსეთს. თურმე მოსვენებას არ ვაძლევდით საბჭოებს. რა ინტრიგებს არ ვაწყობდით მის წინააღმდეგ: მხარს უჭერდით ვრანგელს, ხოლო მისი დამარცხების შემდეგ ვასაზრდოებდით კონტრ-რევოლუციას სამხრეთ რუსეთში; (გვ. 127) დავამშვიეთ საბჭოთა სომხეთი და, რაც თავი და თავია, აშკარათ ვამზადებდით ომს ჩვენი ჩრდილო მეზობლის წინააღმდეგ. 1920 წლის ნოემბრიდან მოგვიხდენია მობილიზაცია საბოლოო ომის განზრახვით: გამოგვიყვანია 55-55000 კაცი. «ნამდვილათ კი, სწერსო ერთი ისტორიოგრაფი, 148. 000 ქართველი იქნა გაწვეული დრო, შის ქვეშ». (გვ. 124) არც მეტი, არც ნაკლები! ამა ეს როგორ უნდა მოეთმინა რუსეთს! მაგრამ რაღაც საკვირველებით ომი («აჯანყება») სომხეთის მხრით დაწყებულა, საბჭოთა სომხეთს დახმარებია საბჭოთა ადერბეიჯანი, ხოლო ორივეს რუსეთი, რომელსაც ვეღარ აუტანია ჩვენ მიერ «კავკასიის პროლეტარიატის გაცემა».

მაგრამ ჩვენი სიმუხთლე ამით არ გათავებულა. 1924 წელში საზღვარგარეთიდან და უცხოეთის ფულით («დამოუკიდებლობის კომიტეტის კასაში ფრა-

ნგული ფული აღმოაჩინეს». გვ. 133). ჩვენ მოგვიწყვიანა აჯანყება. არაა საჭირო გაუმეორო ქართველ მკითხველს ბოლშევიკების ვერსია აჯანყების შესახებ. შევჩერდეთ მხოლოდ რეპრეზენტები. ტყუილია თითქოს ათასობით ან თუნდაც ასობით დახვდეთ ქართველები. აი მაგალითად, ბოლშევიკებს თავად ილია ჭავჭავაძის მოკვლას აბრალებენ, მარა მე ეს საქმე კარგათ შევისწავლე და დავრწმუნდი, რომ გლეხების მოკლულიაო! დახვდეს მხოლოდ რამდენიმე კაციო. მართალია მძევლები დახვრიტეს, მაგრამ ჯუღელი, ჩხიკვიშვილი, ხომერიკი... ყველა ეს ტუსაღები, იყვნენ მკვლელები და ჯალათები, რომელთაც თავიანთ სინდისზე უამრავი ბოროტმოქმედება ჰქონდათ». (გვ. 142). ჩეკაში წამება? არაფერი ამის მსგავსი: მე ციხეებში ვინახულე ტუსაღები და არც ერთს არ უთქვამს ჩემთვის მაწამესო. (გვ. 140-141). ამასთანავე ბარბიუსი იმომებს ვიღაც ტფილისელ ჩეკისტს, რომლის სახელს არ ახსენს. ეს ჯალათი ირწმუნება ჩვენ კულაკებს, ვაჭრებს, ინტელიგენტებს, ძველ ოფიცრებს და თავადებს ვებრძვით, ღმერთმა დაიცვას რომ მუშებს და გლეხებს რაიმე ვაწარმოთ. და ასე გასინჯეთ ეს ჩეკის ანონიმი შემდეგსაც კი აცხადებს: ჩეკაში «ბრალდებულნი უზრუნველყოფილია ყველა გარანტიებით, ყველა კანონიერი ფორმები დაცულია» (გვ. 146), რას იზამ, ქალღი ამასაც იტანს!

ალარ მოვაწყენთ თავს მკითხველს წიგნის დანართჩენ ნაწილების შინაარსის გადმოცემით შესახებ «მიღწევებისა» საბჭოთა საქართველოში («მიღწეული რეზულტატები», გვ. 157-177) და ბარბიუსის და მისი რუს-ქართველ მეგობრების შეხედულებებისა ეროვნულ საკითხზე («ეროვნება და თავისუფლება», გვ. 291-314). რას შეიცავს პირველი—მკითხველი ადვილათ წარმოიდგენს. ვიტყვი მხოლოდ, რომ აქაც ბარბიუსი ბოლშევიკებზე შორს მიდის და ისე ბრწყინვალეთ გამოჰყავს საქართველოს დღევანდელი ეკონომიური და კულტურული მდგომარეობა, როგორც ეს თვით ბოლშევიკებს არასოდეს უქნიათ. ხოლო რაც შეეხება მის შეხედულებას პატარა ერის უზენაეს უფლებასზე, ჩვენ ამ შენიშვნის დასაწყისში ვხახნეთ. დაუმატო მხოლოდ, რომ ბარბიუსისათვის ქართველი ერის უფლებებს ისეთივე ღირებულება აქვს როგორც საფრანგეთის პროვინციებისას—ბრეტანის და პროვანსის. «ნაციონალური თავისუფლება, ავტონომია, რომლითაც სარგებლობენ ქართველები საბჭოთა კავშირის წიაღში, შეუდარებლივ უფრო ფართოა. ვინემ ის ნაციონალური თავისუფლება და ავტონომია (!), რომლითაც სარგებლობენ ბრეტონელები და პროვანსალები საფრანგეთის რესპუბლიკის წიაღში» (გვ. 223). რა არის ეს: უვიცობა თუ ცინიზმი? ბარბიუსმა ხომ კარგად იცის რომ საქართველოს რუსეთთან არც მრავალ საუკუნეთა საერთო ისტორია, არც საერთო ეროვნული კულტურა, არც სოციალური წყობილება არ აკავშირებს, რომ პროვანსალები ისეთსავე ორგანიულ ნაწილს შეადგენენ ფრანგის ერისას, როგორც მეგრელები, ან გურულები ქართველისას. მაგრამ ფრანგი რომანისტი იმდენათ უმეცარი და გაუგებარი პოლიტიკურ საკითხებში,



რომ არც კი ესმის თუ რა სამარცხენოთ ამტყუნებს ის ამ შედარებით საბჭოთა რუსეთის პოლიტიკას საქართველოს მიმართ. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს უმეცრება არაფერს სცვლის იმ სამწუხარო მოვლენაში, რომ მისი შედარება ბევრ ჩვენი გარემოების უცოდინარ ფრანგს შეიყვანს შეცდომაში.

ბარბიუსის წიგნის ფრანგულ ენაზე პასუხის გაუცემლათ დატოვება შეუძლებელია. რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვილაპარაკოთ. «მხოლოდ შორი მანძილი და ამ მხარეში (საქართველოში) მისვლის სი-

ძნელე ხდის შესაძლებლათ რომ ასეთმა ცილისწამებამ თუ გინდ რამოდენიმეთ ხორცი შეისხას. მაგრამ, მის გამავრცელებლემმა კარგად იციან, რომ, დონბაზილიოსის ღრმა შენიშვნის თანახმათ, ცილისწამება, რომელიც რაიმე საგანს ეკვრის, მუდამ სტოვებს კვალს» (გვ. 144). საბედნიეროთ, ამ შემთხვევაში, საქმე გვაქვს ფრიალ უმეცარ და, მეტი რომ არ ვთქვათ, ზერელე «დონ-ბაზილიოსან». მისი უმგვანო ცილისწამების კვალის აღმოფხვრა არც ისე ძნელი იქნება.

დ. მ.

**სოციალისტური დემოკრატიის და ეკონომიკური საკითხი**

«სოციალისტურ ვესტნიკში» გამოქვეყნდა რუსეთის სოც. დემოკ. პარტიის ცენტრალურ კომიტეტის მიერ მიღებული ეროვნულ საკითხის პლატფორმა.

უეჭველია, რომ ევ. პლატფორმა მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს და მას დიდი მნიშვნელობა ექნებოდა საბჭოთა ფარგლებში მოქცეულ ერთა შორის დამოუკიდებულების მოგვარების საქმეში, რომ წინ გადადგმულ ერთ ნაბიჯს თან არ მოსდევდეს ორი ნაბიჯით უკან დახვევა.

რ. ს.-დ. მ. პ. ცენტრალური კომიტეტი აცხადებს, რომ იგი ყველა ეროვნისათვის სცნობს «სრულ ეროვნულ თვითგამორკვევის უფლებას თვით დამოუკიდებლობამდე», და დასძენს, რომ რუს. სოციალ-დემოკრატიული პარტია ენერგიულად შეებრძოლება ყველა მათ. ვინც განიძრახავს ძალით მოახვიოს უცხო ერებს რუსეთის ბატონობა.

ნათქვამია ნათლად და გადაჭრით, მაგრამ, სამწუხაროთ ამ ნათლათ ნათქვამს თან ახლავს ისეთი განმარტება, რომელიც თუ სასესიოთ არა, ნახევრათ მაინც აბათილებს მის აზრსა და მნიშვნელობას.

**პლატფორმის ავტორებმა კარგათ იციან, რომ საბჭოთა კავშირში შემავალ ერების ერთი ნაწილი მისწრაფის სრულ სახელმწიფო დამოუკიდებლობისაკენ. ამ ერებს სასესიოთ მიზან შეწონილათ მიანჩიათ რუსეთიდან გამოცალკეება და თავისი დამოუკიდებელი ეროვნული ოჯახის შექმნა.**

სრულიად წინააღმდეგი აზრის არიან პლატფორმის ავტორები. ისინი თვითონ—ცალმხრივათ—სწყვეტენ საკითხს და აცხადებენ, რომ დამოუკიდებლობა დაჩაგრულ ერებისათვის მავნებელია, იგი არავის სარგებლობას არ მოუტანს; ამიტომ უფლებას იტოვებენ, ებრძოდონ საბჭოთა კავშირში შემავალ უცხო ერების სეპარატიულ მოძრაობას.

ამ ბრძნულ განმარტების შემდეგ «სრულ ეროვნულ თვითგამორკვევის უფლებიდან» თითქმის არაფერი რჩება. გამომადის, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას სიტყვით არაფერი აქვს სრულ თვითგამორკვევის უფლების წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიაც კი, თუნდაც ეს უფლება წამოიჭრეს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობის მოთხოვნის სახით, მაგრამ საქმით კი ამის წინააღმდეგი იქნება და ყოველივეს ილღნებს, რომ საბჭოთა კავშირში მოქცეულმა დაჩაგრულმა ერმა თვითგამორკვევის

უფლება ეროვნულ დამოუკიდებლობის მოთხოვნაში არ გამხატლს.

მაშასადამე რუს. სოც.-დემოკრატიული პარტია სიტყვით თუ წერით გააჩაღებს პროპაგანდას და აგიტაციას დაჩაგრულ ერების მიერ დამოუკიდებლობის მოთხოვნის წინააღმდეგ. უნდა ვივთხისსმოთ, რომ ასეთი პროპაგანდა-აგიტაცია იწარმოებს მთელ საბჭოთა კავშირში,—როგორც დაჩაგრულ ერებში, ისე რუსის ხალხშიც.

ახლა გავითვალისწინოთ, თუ თუ სად რა შედეგს გამოიღებს ასეთი მუშაობა.

იმ დაჩაგრულ ერებს, რომელთაც დამოუკიდებლობის სურვილი აქვთ, ყავთ თავიანთი სოციალისტური პარტიები და ზოგი მათგანი შედის იმავე სოციალისტურ ინტერნაციონალში, რომლის წევრია აგრეთვე რუს. სოც.-დემ. პარტიაც. დაჩაგრულ ერების სოციალისტური პარტიები მთელ ერთან ერთად იბძვიან დამოუკიდებლობისათვის. რუს. სოც.-დემოკ. პარტია საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი თავისი პროპაგანდა აგიტაციით შეიჭრება ამ დაჩაგრულ ერებში და დაუპირდაპირდება როგორც მთელ ერს, ისე მის სოციალისტურ პარტიას.

დაჩაგრულმა ერმა, თუ ის შესაფერ კულტურულ სიმალღნეჲ კი დვას, უკეთ იცის თავისი ავი და კარგი, ვინემ რუსული სოციალისტურ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა. მან იცის, რა არის მისთვის სასარგებლო და რაა საზიანო; ამიტომ წინდაწინ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მამართული მუშაობა ამაო იქნება.

დაჩაგრულ ერების დამოუკიდებლობის წინააღმდეგ პროპაგანდის გაწევა—და ისიც სოციალისტების მიერ—არც რუსის ხალხში გამოიღებს უკეთეს შედეგებს. სოციალისტების მიერ ასეთი პროპაგანდის გაწევა რუსეთის დემოკრატიაში შექმნის მტრულ განწყობილებას დაჩაგრულ ერების მიმართ, ნიადაგს მოუშნადებს ისეთ საზოგადოებრივ აზრს, რომელიც ხელსაყრელი იქნება რუს მოვენისტებისათვის, დიდი რუსეთის იმპერიის მოტრფიალე «ველიკოდერჲჲენიკებისათვის».

სწორეთ აქედან დაიბადება «სამოქალაქო» ომის ატეხის ის საფრთხე, რომელზედაც მიგვითითებენ პლატფორმის ავტორები; მომავალ რუსეთის ხელისუფლება რომ ჩაუვარდეთ ხელში «ველიკოდერჲჲენიკებს» თუნდაც ისეთი ტიპისას, როგორც არიან ვაზ.





«დნის» ირგვლივ შემოკრებილნი ეგრეთ წოდებული «სოციალისტები», მათ ნიადაგი მომზადებული დახვდებამ იმისთვის, რომ ცეცხლითა და მახვილით დაიმორჩილონ დამოუკიდებლობის მოტრფიალე «ურჩი» ერები.

ჩვენ გვწამს რომ, თუ რამე ასეთი მოხდა, რუს. სოც.-დემ. პარტიის ცენტრალური კომიტეტი post factum საპროტესტო რეზოლიუციას გამოიტანს და ამით თავის დაპირებას შეასრულებს, მაგრამ ვინ არ იცის, რომ საპროტესტო რეზოლიუციებით საქმეს არ ეშველება, ცეცხლითა და მახვილით განადგურებული ერის ურილობები ვერ განიკურნება?!

ვისაც «სამოქალაქო» ომი დიდ უბედურებათ მი-აჩნია და მის თავიდან აცილებაზე ზრუნავს, მან უდა-ოთ და ურეზერვოთ უნდა იცნოს თვითგამორკვე-ვის უფლება; მან უნდა იქადაგოს, რომ ყველა ერს უფლება აქვს თვითონვე იყოს თავისი ბედის განმ-კარგულებელი, რომ ყველა დაჩაგრულ ერს უფლე-ბა აქვს იბრძოლოს თავის ქვეყნის დამოუკიდებლ-ობისათვის, თუ კი ეს ერთი პოლიტიკურათ და კულ-ტურულათ საკმაოდ მომზადებული დამოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრებისათვის.

სწორეთ ასე იქცევა სოციალისტური ინტერნა-ციონალიც, რომლის უკანასკნელი კონგრესის რე-ზოლიუცია სრულიად ურეზერვოთ სცნობს სრულ თვითგამორკვევის უფლებას ყველა იმ კოლონი-ალურ ერებისათვის, რომელთაც უკვე მაილწივს სა-თანადო კულტურულ განვითარების დონეს. ამ რე-ზოლიუციაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ

«მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი მხარს უჭერს დამორჩილებულ ერთა ბრძოლას და-მოუკიდებლობისათვის, მიუხედავად იმისა, იღებს დამორჩილება კოლონიალურ ბატონობის სახეს, თუ ერს გარეგნულათ შენარჩუნებული აქვს და-მოუკიდებლობის საერთაშორისო უფლებრივი ფორმა, მაგრამ ფაქტიურათ დამოკიდებულია იმ-პერიალისტურ სახელმწიფოსაგან სამხედრო ინ-ტერვენციის, ეკონომიური შეჭრის და უთანასწო-რო ხელშეკრულებების წყალობით».

ამ რეზოლიუციის მეოთხე და უკანასკნელი გან-ყოფილების ბოლოში

«მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალი მოუწოდებს თავის მომხრე პარტიებს კავშირი იქონიონ დაჩაგრულ ერთა მოძრაობასთან, რათა მხარი დაუჭირონ მათ ბრძოლას იმ პრინციპები-სა და მოთხოვნებებისათვის, რომელიც აღ-ნუსხულია ამ რეზოლიუციაში»...

სოციალისტურ მუშათა ინტერნაციონალის რე-ზოლიუციაში ნათლათ და მკაფიოთ არის ეროვნუ-ლი საკითხი დასმულიც და გადაჭრილიც. აქ თქვენ ვერ შეხვდებით იმის მზგავს განმარტებას, რომელიც «ამშვენებს» რუს სოციალ-დემოკრატების პლატფორ-მას და რომლის ერთად ერთი მიზანია ეროვნულ თვითგამორკვევის უფლების შეკვეცა.

პირიქით, სოციალისტური ინტერნაციონალი უყურადღებოთ არ ტოვებს არც ისეთ კოლონიალურ ერებს, რომელთაც ჯერ კიდევ არ მიუღწევიათ გან-

ვითარების შესაფერ საფეხურამდე და ასეთ ერები-სითვის ის მოითხოვს

«ნამდვილ დაცვას ჩაგვრისა და გაყვლეფისაგან, ამ ერების სისტემატიურათ აღზრდას, რაიცა მი-მართული უნდა იყოს მათ დამოუკიდებლობისა-კენ და, ამავე დროს, მათი თვითმართველობის პროგრესიულ გაფართოებას საბოლოო და სრულ თვითგამორკვევამდე.»

ამჟამად, რომ რუსეთის სოციალდემოკრატიის პლატფორმა ძირითადათ ეწინააღმდეგება მუშათა სოციალისტურ ინტერნაციონალის რეზოლიუციაში გამოთქმულ «პრინციპებს და მოთხოვნილებებს.»

რუსეთის სოციალდემოკრატიულ პარტიის წარ-მომადგენლები დაესწრენ სოც. ინტერნაციონალის იმ კონგრესს, რომელმაც ზემოაღნიშნული რეზოლი-უცია მიიღო. ამ წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს რეზოლიუციის შედგენაში, მიიღეს იგი და ხელი მოაწერეს მას.

მას შემდეგ დიდი ხანი არ გასულა; ჯერ არც კი გამშრალა ის საღებავი, რომლითაც კონგრესის რე-ზოლიუცია დაიბეჭდა «სოც. ვესტნიკის» ფურცლებ-ზე, და რუსეთის სოც. დემოკრატიული პარტია იმა-ვე «სოც. ვესტნიკის» ფურცლებზე აქვეყნებს თავის საკუთარ პლატფორმას ეროვნულ საკითხის შესახებ. ამ პლატფორმაში იგი გვერდს უხვევს სოც. ინტერ-ნაციონალის «პრინციპებს და მოთხოვნილებებს» და საჯაროთ აცხადებს, რომ ის გაილაშქრებს ისეთი თვითგამორკვევის წინააღმდეგ, რომელიც რუსეთ-თან ფედერაციის ფარგლებს გადასცდება და სრულ დამოუკიდებლობის მოთხოვნის სახეს მიიღებს.

რას ნიშნავს ეს? რითი უნდა ახსნათ მუშათა სოციალისტური ინტერნაციონალის დადგენილების ასე აბუჯათ აგდება იმათ მიერ, ვინც წევრია ამ ინ-ტერნაციონალის და უშუალო მონაწილეობა მიიღო ამ დადგენილების მიღებაში? რუსეთის სოც.-დემო-კრატიის ასეთი ნაბიჯი კიდევ გასაგები იქნებოდა, რომ მას კონგრესზე განეცხადებია პროტესტი მი-ღებულ დადგენილებების წინააღმდეგ და არ გაეზი-არებია მიღებული რეზოლიუცია.

აღნიშნული პლატფორმა იხსენიებს კერძოთ სა-ქართველომაც და მოითხოვს

«საოკუპაციო ჯარების გაყვანას საქართველო-დან \*) და ამ ქვეყნისთვის მართლაც თავისუფალ დემოკრატიულ თვითგამორკვევის საშვალების მინიჭებას.»

\*) «დნის» თანამშრომელი ბ-ნი სოვრემენნიკი მეტად გაუბრაზებია საქართველოდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის მოთხოვნას.—რატომ საქართველოს ოკუპაციაზე შეიძლება ლაპარაკი და არა მთელი რუსეთის ოკუპაციაზე ქართველ ჯულაშვილის, ორ-ჯონიკიძის და სხვების მიერო,—გაკვირვებული კით-ხულობს ეს პატიოსანი «სოციალისტი» და თითქოს არც კი იცოდეს, რომ მოსკოვში კი არ დგას საქარ-თველოს ჯარები, არამედ მოსკოვის წითელარმიელები დაჯირითობენ თბილისში. მოსკოვი უცხო ერის ჯარს არ დაუპყრია; იქ შინაური გადატრიალება მოახდინეს რუსმა მცხოვრებლებმა, თუ დღევანდელ

პლატფორმის ავტორებმა კარგათ იციან, რომ ქართველმა ერმა თავისი თავი უკვე გამოარჩვია. საქართველოს ეროვნულმა დამფუძნებელმა კრებამ 1919 წლის მარტში ერთხმად დაადასტურა ათი თვის წინათ გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა და სრული სუვერენობა. შემდეგ მოკავშირეებმა და აგრეთვე მთელმა რიგმა სხვა სახელმწიფოებისა იცვენს იურიდიულათ საქართველოს დამოუკიდებლობა. იციან ისიც, რომ დღეს მთელი ქართველი ხალხი დამოუკიდებლობის დროშის ქვეშ იყრის თავს და განაგებობს სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლას მოსკოვის საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ.

და ამის შემდეგ განა კიდევ საეჭვო და გამოსარკვევია ქართველი ერის ნებისყოფა?!

ბ. არმიე.



**მ მ მ რ ა ნ დ უ მ ი**

საქართველს ელჩის ა. ჩხენკელის განიარაღების კონფერენციის წინასწარ კომისიის თავჯდომარეს ბ-ნ ლუდენს.

ბ. თავჯდომარე!

ს. ს. რ. კავშირის პირველმა დელეგატმა განიარაღების თავის მეორე გეგმის განსამტკიცებლად არა ერთხელ განაცხადა, რომ ეს გეგმა მხოლოდ ეტაპია, რათა მივალწიოთ სრული და დაუყოვნებლივ განიარაღებას, ისეთს, რომელიც იყო დასახული საბჭოთა პირველ გეგმაში. როდესაც ყურადღებით ვისმენდი ამ განცხადებებს, მე ვეკითხებოდი ჩემ თავს, თუ რამდენად სერიოზული და გულწრფელი იყო საბჭოთა წინადადება. ვინაიდან ბ. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ მთელი ქვეყნის საზოგადოებრივი აზრი ფრიად დაინტერესებულია იცოდეს, თუ როგორია განიარაღების შესამზადებელ კომისიაში წარმოდგენილ მთავრობათა დამოკიდებულება მისი გეგმის მიმართ. მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს წარმოვადგინო იმავე საზოგადოებრივი აზრის წინაშე შემდეგი კითხვა: რა მოხდებოდა, თუ საბჭოთა პირველი გეგმა იქნებოდა დადასტურებული და ამისდამიხედვით საბჭოთა მთავრობა დაითხოვდა თავის შეიარაღებულ ძალებს? ანუ სხვანაირად რომ ვსთქვათ: როგორ შესძლებდა ამ შემთხვევაში მოსკოვის მთავრობა დაენარჩუნებია თავის ხელში საქართველო, რომელიც უკავია მის ჯარებს? ასეთსავე მდგომარეობაში იმყოფებიან, რო-

საბჭოთა კავშირის ქართველი უღვას სათავეში, ამაში ქართველ ერს არავითარი ბრალი არ მიუძღვის. მეცხრე საუკუნის მეორე ნახევარში რუსის ხალხმა ვარიანები მოიწვია ბატონათ და პატრონათ; მეოცე საუკუნის დასაწყისში ლენინის შემდეგ კომუნისტურმა პარტიამ რუსეთის დირიჟორათ მიიპატიჟა ის ჯულაშვილი, რომელსაც საქართველოში ერთი სოფლის მომვლელათაც კი არავინ გააწესებდა. «ყაცია და გუნება», ბტყვიან ქართულათ.

გორც ყველამ უწყის, კავკასიის დანარჩენი რესპუბლიკები, უკრაინა და სს.

როცა ამ სტრიქონებს ვწერ, საქართველოს ერთ-ერთ პრეზიდენტში, აჭარაში ხდება საშინელი ამბავი, რაიც ძალიან სწირად მეორდება: ხალხის აჯანყება და სისხლის ღვრა საოკუპაციო ჯარების მიერ. ბ. თავჯდომარე, თავს არ მოვაწყენთ ჩემის საკუთარის ცნობებით აჭარის ამბების შესახებ, ის პროვინციისა, რომლის წარმომადგენელი ვიყავი მრავალი წლის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში, მოვიტან მხოლოდ შემდეგს ამონაწერს გაზეთ «ტაიმისს» მიმდინარე აპრილის 12 ნომრიდან:

«როგორც გამოირკვა, საბჭოთა მთავრობამ აჯანყების ჩასაქრობად აჭარაში გაგზავნა ქართველი ჯარი, მაგრამ უკანასკნელმა უარი სთქვა იბრძოლოს აჭარლების წინააღმდეგ, მაშინ გაგზავნეს რუსის და სხვა ჯარები. ამ ქამად არარეგულიარული შეტაკებანი სწარმოებს მთებში ბათომის მახლობლად და თვალსაჩინო წარმატება არც ერთ მხარეზე არაა».

მათალია, საქართველოში არის ერთი თუ ორი რაზმი ქართველ ჯარებისა, რომელთა დანიშნულება ისაა, რომ უნდა მოაჩვენონ გულუბრყვილო უცხოელებს, ვითომც არსებობს დამოუკიდებელი საქართველო. ხოლო უფრო საინტერესო გარემოება ისაა, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა, რომელთაც სკლმძღვანელობდნ ბოლშევიკები, არ მოისურვეს ბრძოლა თავისიანების წინააღმდეგ და საოკუპაციო ხელი-სუფლებამ მათ მაგიერ გაგზავნა რუსის ჯარები.

ნათელია, თუ აქედან რა უნდა დავასკვნათ: იქ რომ რუსის ჯარები არ იყვნენ, საქართველო დიდი ხანია განთავისუფლდებოდა უცხოელთა ბატონობისაგან.

საბჭოთა მთავრობა ფიქრობს თუ არა გაიყვანოს თავისი ჯარი საქართველოდან და სხვა რესპუბლიკებიდან? არა, და აქედან სავსებით აშკარავდება ნამდვილი ღირებულება ს. ს. რ. კავშირის გეგმისა შესახებ სრული და დაუყოვნებლივი განიარაღებისა.

ნაციათა ლიგას მრავალი შემთხვევა ჰქონდა საქართველოს საკითხის განხილვის და მან იცის, თუ რა პირობებში მოხდა მისი ოკუპაცია. მე აქ მოვიხსენიებ მხოლოდ ერთს შემთხვევას:

ლიგის მეხუთე ყრილობის 1924 წ. სექტემბრის 25 საერთო სხდომაზე, რომელზედაც ირჩევოდა საქართველოს საკითხი და რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის დელეგატებმა,—მეექვსე კომისიის მომხსენებელმა ბ. მკდონალდმა, დელეგატმა კანადისამ, ფართოდ გადმოშალა ამბები, რომელთაც ადვილი ჰქონდა რუსის ჯარების მიერ საქართველოს დაკავების წინ და თვით ოკუპაციის დროს. მომხსენებელმა დაასახელა რუსეთ-საქართველოს 1920 წ. მაისის 7 ხელშეკრულობის პირველი მუხლი, სადაც სწერია: «რუსეთი აღიარებს უპირობოთ საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და სუვერენობას და სავსებით უარს აცხადებს ყოველ უზენაეს უფლებებზე, რომლებიც ეკუთვნოდა რუსეთს ქართველი ერისა და მისი ტერიტორიის შესახებ»,—და სთქვა: «მაშ რა მოხდა? ფაქტი, რომლის მსგავსი არ ახსოვს მსო-



ფლიო ისტორიას. რუსეთმა თუმცა იცნო საქართველო, მაგრამ მაინც თავს დაესხა მას წინააღმდეგ თავის ვალდებულობისა. ამ ამბავმა მთელი ქვეყნის ყველა ერებში გამოიწვია თანაგრძნობა საქართველოს მიმართ».

ამ დებატების შედეგად მესხეთე ყრილობამ ადასტურა ერთხმად მესამე ყრილობის რეზოლუცია, მიღებული მეექვსე კომისიის წინადადების თანახმად, რომელსაც მაშინ თავმჯდომარეობდით თქვენ, ბ. თავმჯდომარე. ეს რეზოლუცია მოუწოდებდა ლივის საბჭოს—თვალყური ადევნოს ფიზიკად საქართველოს ამბებს და ისარგებლოს შესაფერი შემთხვევა მისი ნორმალური მდგომარეობის აღსადგენად. მეხუთე ყრილობამ მოუწოდა აგრეთვე ნაციონალური შემაჯავალ სახელმწიფოების მთავრობებს, რომ დახმარება აღმოეჩინათ საბჭოსთვის დასახელებული დავალების შესასრულებლად.

მაგრამ ვიცი, რას იტყვის საბჭოთა მთავრობა: თვითონ ქართველმა ხალხმა მოიწვია რუსის ჯარები საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციისათვის. ბ. თავმჯდომარე, მე აღარ შევაჩერებ თქვენს ყურადღებას ამგვარ ცილისწამებზე იმ ერის შესახებ, რომელსაც ორიოთხასი წლის სახელმწიფოებრივი არსებობა აქვს.

ჩემი მომართვა არაა საჩივარი ქართველი ხალხის ბედისათვის. ერს, რომელმაც იცის ბრძოლა თავის თავისუფლებისათვის, ექნება იმის ძალა, რომ გაუძლოს თავის ტანჯვას.

მე უარყოფდ მხოლოდ სრულიად კათოლიკურულად საბჭოების დევნების უფლებას ილაპარაკოს საქართველოს სახელით, რომელიც ძალითაა მომწყვდიული ს. ს. რ. კავშირში.

გთხოვთ, ბ. თავმჯდომარე, ყოველივე ზემო მოხსენებული კეთილ ინებოთ და აღუწოთ განიარაღების კონფერენციის წინასწარ კომისიას და ვსარგებლობ რა ამ შემთხვევას, გიცხადებთ ჩემს უღრმეს პატივი-სცემას.

ა. ჩხენკელი, საქართველოს ელჩი ხაერანგეთში.

ქენევა 1929 წ. აპრილის 19.

### ჩ ე მ ი მ ო ზ ო ნ ე ბ ა

წარსული ომის დროს ღირსება-ახლილი ციმბირს ვიყავი. კარზე მოდებოდე, გერასიმე მახარაძე (მეორე ღუმის წევრი) და მე ერთ ბინაზე ვცხოვრობდით. უნდა ითქვას, ძლიერ შეხმატკბილებულნიც ვიყავით. სამოქმედო, საჯაფო და საკეთებელი არაფერი გვქონდა; არავინაც გვაწუხებდა, თუ, რასაკვირველია, მხედველობაში არ მივიღებთ «ურიადნიკს», რომელიც ხელისუფლების დავალებით დროგამოშვებით ჩვენი ბინის ეზოში შემოივლიდა გასაგებათ: სახლში ვართ თუ არა. მართალია, მე და კარზე ვმსახურებდით, მარა ჩვენებურათ რომ ვთქვა, დრო თავზე საყარათ გვქონდა. ვიტყვი, საზოგადოთ ციმბირის ცხოვრება ახალს არაფერს იძლეოდა ომიანობის დროსაც ასე იყო. ყოველ კვირაობით, რასაკვირველია, სამხედრო ტყვეები ავსტრი-

ელი და ოსმალ მრავალი მოყავდით, მაგრამ მათ მოსვლასაც ჩვენს ერთფეროვან და მოსაწყვენ ცხოვრებაში ცვლილება არ შექონდა. მაშინდელი ჩვენი ხვედრი იყო ცოტა საქმიანობა, მეტი უსაქმობა, სმა-ჟამა, გაზეთის კითხვა, წარსული ძველი ცხოვრების მოგონება და გაგონების მოლოდინი.

ციმბირის ზამთრის გძელ ღამეებში საღამოობით რიგრიგით წარსულ ამბებს ერთი მეორეს მოუთხრობდით ხოლმე. და ჩვენშიერ ნაამბობი ძველი წარსული დრო ბებინს ტკბილ ზღაპრებს მოგვაგონებდა და ჩვენც მომთხრობს სიამოვნებით ყურს უგდებდით. თუ მომთხრობი რომელიმე ამხანაგის უძროვო დაღუპვას მოგაგონებდა, დავჯავრიანდებოდით, კაეშანი და ბოღმა გულს გვაწვებოდა ხოლმე.

მართალია, სიმართლე უნდა ითქვას, როცა გაზეთები რაიმე საღაო კითხვებს მოიტანდა, ჩვენც ურთიერთ შორის კამათს ავტეხდით და აზრს ერთმანეთს ვუზიარებდით. ვიტყვი, რუსული ჟურნალ-გაზეთები და მეცნიერების ყოველ დარგიდან წიგნებიც უსასყიდლოთ ერთობ ბევრი მოდიოდა, მაგრამ, სამწუხაროთ, ქართული გაზეთები და წიგნები კი ძლიერ ნაკლები იყო. სულიერ საზრდოს ქართველი წიგნების და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლები ჩვენ გვაკლებდენ და ამ მხრით გვასიმშილებდენ.

საქართველოდან მხოლოდ სოციალდემოკრატიული პარტიის გამოცემული გაზეთები და წიგნები, გიგო დიასამიძის გაზ. «თემი» და ბოცვაძის ჟურნალი «განათლება» უსასყიდლოთ მოგვდიოდა. აი, ამ წყაროებიდან ვგებულობდით, თუ სამშობლოში რა ხდებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ როცა ფოსტაწიგნებ-გაზეთებს მოიტანდა, ჩვენ განსაკუთრებით ქართულ დავეძებდით და რაც უნდა საჰირბოროტო, თანადროული, მწვავე კითხვები რუსულ გამოცემებს არ უნდა მოეტანა, პირველ ყოვლისა ქართულს ვკითხულობდით, შინ რა ხდებოდა, ამის გაგება გვეჩქარებოდა, ეს ბუნებრივით, ძალდაუტანებლათ ხთებოდა და თავისთავათ წესათ იყო დანერგილი. ეს წესები ვინმეს რომ ძალდატანებით შეეცვალა, ვინ იცის, რა ხმაურს გამოიწვევდა. რომ ბუნებრივით ასეთი წესი ჩვენს შორის, ჩვენდა შემუშენვლად, არსებობდა, ამას ვერ ვგრძნობდით, მაგრამ ამ დაფარული და მალული გრძნობის აღმოჩენა და შემჩნევა შეეძლო ყველა უბრალო დამკვირებელს სწორედ მაშინ, როცა ფოსტა ურიცხვ ნაბეჭდს მოიტანდა.

მახსოვს, დაღამდა, ციმბირის «ხიუსმაც» \*) ნელათ დაპბერა და მკვიდრთ ამცნო, დიდი ყინვები მოდის, ნურავინ იწყებს ზოზბასაო. მახლობელ სოფელში ორმოცდაათი, თუ სამოცი, ვარსის მანძილზე ფარულათ ამხანაგთან წასვლია, ვაპირებდი და ამ საღამოს ამოვარდნილმა «ხიუსმა» გეგმა შეცვალა. ყველანი შინ მოვემწყვდიეთ და ჩვენც პაწაწა ჩვენს სასადილო ოთახში აორთქლებულ «სამოვარს» შე-

\*) «ხიუს»-ს ციმბირის მცხოვრები ნელ ბინდს, ქარს ეძახიან. ზამთარში როცა «ხიუსი» ამოვარდებდა, ამ დროს არ მგზავრობდენ, ვინაიდან დიდი ყინვები იწყებდა და ადვილი შესაძლებელია მგზავრი გაიყინოს.

საქართველო  
საზოგადოებრივი

მოუსხედით. მხიარული ბასი დავიწყეთ; რომ ვერ ვიმგზავრე, გასაჯავრებლათ დამცინეს და გემრიელი გაიკრიმინებულნი „შანიშკები“) თაფლ ცხებული შემომთავაზეს და დაამატეს: ასეთ რამეს, რომ გაყინულიყავ, ველარ ჭამდიო! ამ დროს ფოსტა მოვიდა. ჩვენი მუსსაიფი და ჩემი დარდი, რომ ვერ გავემგზავრე, გაზეთის კითხვამ შესცვალა.

დანერგულ წესისამებრ პირველათ ქართული განეთი გავშალეთ და, როგორც მახსოვს, ა. ჩხენკელის საპასუხოთ ნოე ჟორდანიას წერილის კითხვა დავიწყეთ. წერილმა ჩვენს შორის ჩვეულებრივ აზრთა განიარება გამოიწვია. კარბ. მოდებამდე, თუ არ ვცდები, პირველმა დაიწყო, რომ ავტორს მე არ ვეთანხმები, ა, ჩხენკელის აზრს ვიზიარებ და წერილში წამოყენებული საბუთები რომ გაებათილებია, ნაცვლათ ამისა მან სემინარიის ცხოვრებიდან დაახლოვებით გვიამბო შემდეგი:

სემინარიაში ვიყავ. ეგზამენები მოახლოვებულნი იყო. უძილობა დამემართა და უქეიფოთ თავს ვგრძნობდი. ერთ დღეს მოწყენილი ვარ. სემინარიის რექტორი ბერი\*) მოვიდა ჩემთან და მითხრა: მოდებამდე, რატომ ხარ მოწყენილი, რა დავემართათ. ვუპასუხე, უძილობა მჭირს და ავადაც ვარ-მეთქი. რექტორმა ამხედ-დამხედა და მითხრა: ნოე ჟორდანიას ხომ არ დავმართია, იქნებ მისი იდეებით ხარ ავადო. იგი ერთლით სასეირნოთ მიდიოდა და თან წამიყვანა. ეტლი გლოვინის პროსპექ. (ახლა რუსთველის ქუჩა) წავიდა. სასახლეს რომ მიუახლოვდით, რექტორმა თქვა: მე რომ უფლება და ძალა მქონდეს, ნოე ჟორდანიას პირველ ხეზე ჩამოვავახრჩობდი. ვინაიდან იგი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი იქნებოდა.

ასეთი ამბის მოგონებით დამთავრა კარ. მოდებამდე აკ, ჩხენკელის აზრების დაცვა და ნოე ჟორდანიას საბუთების გაებათილება! ეს ჩვენ გვეოცა. კარ. მოდებამდე კი დაჟინებით ადასტურებდა ნათქვამს და გაიძახოდა: რაც ვთქვი, სრული სიმართლეაო. საზოგადოთ ჩვენ სამთა იმ დროის კამათში მსგავსი რამ ბევრი ხდებოდა და საფარსაგო ამბები მოგვდიოდა ნ. ჟორდანიას ნაწერების შესახებ აზრის გამოთქმის დროს. ხანდისხან შეგვიჯღღებოდა ეშმაკი, ავკიტყდებოდა ქაილი. გავკრიტიკოსდებოდით და ნ. ჟორდანიას ნაწერებებს გარჩევას ვიწყებდით, მარა ნაცვლათ ნაწერების გარჩევსა, ავტორის ღირსებაზე (მსგავსათ ზემოთ მოყვანილი ბერის ამბისა) ვლაპარაკობდით და კრიტიკის მაგივრათ სიბღაჩეუ გავმოგვდიოდა...

დაპკრა საათმა, თვითმპყრობელობა დაეცა, მოხდა რევოლიცია, დროებით მთავრობა გამოცხადდა და გაუგლებელი\*\*) გაეთავისუფლდით, უკან დავ-

ბრუნდით. სამთავემ ჩვენ ჩვენი კალაპოტები მოგვანათ. კარ. მოდებამდე თავისი მიმართულების ბანაკი ნახა, მის ხარხოში ჩაჯდა. მაგრამ დაბანაკების მიხედვით იმ ხანებში ჩვენი წარსული დამოკიდებულება არ შერყეულა. კ. მოდებამდე შორაპნის მაზრიდან ეროვნულ ყრილობაზე გამოგზავნეს. იგი თეატრში ამ კრებას დაესწრო და ნოე ჟორდანიას მოხსენება მოისმინა. ამ დროს ბედმა მე და კარბეს თბილისში ერთ ბინაზე ცხოვრება გვარგუნა. კ. მოდებამდე მის მიერ ციმბირში ნათქვამს ნ. ჟორდანიას შესახებ ბერის სიტყვებს ახლა დაუმატა შემდეგი: სახაზინო თეატრში ეროვნულ ყრილობას დავესწარი, მომხსენებლათ მოლაპარაკე ნოე ჟორდანია ვნახე და ჩემს წინაშე იგი იდგა ვითარცა პრეზიდენტი და რექტორის წინასწარმეტყველება, ციმბირში რომ მოვიგონე, დღეს ხორც შესხმული ვიხილე. მეგონა. მარა მე მის აზრს მაინც არ ვეთანხმებიო...

წ. ჩიჩუა.



### უცხოეთის მიმოხილვა.

#### ექსპერტთა ჭაპანწყვეტა.

სამი თვე შესრულდა. რაც საერთაშორისო ექსპერტები დიდ ჭაპანწყვეტაში არიან, პარიზში, რათა გამოჩანონ საბოლოო ფორმულა, რომელმაც უნდა შესცვალოს დოქსის სარეპარაციო გეგმა, დამით ერთხელ დასამუდამოთ უნდა მოაწესრიგოს ეს უდიდესი თავსამტვრევე კითხვა.

ერთი თავიდანვე არაჩვეულებრივათ უნდა მოსჩვენებოდა ყველას: ექსპერტები, მთავრობათა და მათ მოხელეთა მაგიერ! ვინ არ იცის, რომ სარეპარაციო კითხვა უარესათ პოლიტიკური კითხვაა, რომლის ასე თუ ისე გადაჭრა გადასჯრის რეინის ევაკუაციის, გერმანია-საფრანგეთის დამოკიდებულების, მთელი ევროპის ნორმალურ კალაპოტში ჩაყენების კითხვებსაც, და თუ მაინც ექსპერტები დანიშნეს უდიდესი ეკონომი, ე. ი. მათ დამოუკიდებლათ უნდა გამოჩანონ ფორმულა, - ეს მოასწავებს იმას, რომ მთავრობანი უძლურნი გამოდგენ ამისათვის და სურთ მზამხარეული, შეთანხმებული პროექტი წარმოუდგინონ მათ.

მაგრამ იყო მეორე გარემოებაც, რომელიც შეიძლება სჭარბობდა წონით ასეთ მეთოდის არჩევაში. ყველას სურდა ამერიკის მონაწილეობა ექსპერტების მუშაობაში, მისი ხელმძღვანელობა, თუ გნებავთ, ხოლო ის არ იქდა ამას ოფიციალურათ. მამასადამე, აირჩიეს ვითომ «დამოუკიდებელი» ექსპერტები, თითქმის ყველა ბანკირები, და ამერიკიდანაც მოვიდა «ორი მოქალაქე» ო. იონგი და პ. მორგანი. უკანასკნელი ამერიკის ფინანსთა ფაქტიური გამგეა.

ჯერ მუშაობა თითქმის რივიანათ წარმოებდა, შეთანხმდენ ორ დიდ კითხვაში. პირველი, მთელი თანხა, რომელიც გერმანიამ უნდა გადაიხადოს მოკავშირეთა სასარგებლოთ, იყოფა ორათ: ნაკლები, რომელიც ეძლევა მოკავშირეთ მათ დანგრეულ ადგილების აღსადგენათ, და მეტი, რომელიც ფარავს მოკავშირეთა ვალებს ამერიკის მიმართ. პირველი

\*) «შანიშკი»-ს ციმბირში «ეპარტუშკებს» ეძახიან.

\*\*) რექტორის სახელი და გვარი დაასახელა. მარა ახლა არ მახსოვს მისი გვარი და სახელი. ეს რექტორი, მეონი, ამერეკაში მისიონერათ იყო და შემდეგ ვარშავაში ეპისკოპოსათაც.

\*\*\*) კ. მოდებამდე თებ. რევ. დროს უკვე გლეხი იყო.

ნაწილი უნდა გადაიხადოს გერმანიამ უპირობოთ, რამდენსამე წლის განმავლობაში, და ამიტომ შეიძლება მისი ესლავე განადგება სესხის სახით. ხოლო მეორე ნაწილი გადახდილ იქნება ზოგიერთი შეღავათების ქვეშ. და შეიძლება იგი ძალზე შემცირდეს, თუ ამერიკა მოისურვებს ოდესმე თავისი პრეტენზიების შემცირებას, რის იმედს არ კარგვენ. შეთანხმების მეორე მუხლი ეხება საერთაშორისო სარეპარაციო ბანკის დაარსებას, რომელიც იკისრებს მთელი კომბინაციის სისრულეში მოყვანას.

მაგრამ დადგა მომენტი, როცა დაისვა საერთო ჯამის კითხვა, რამდენი მილიარდი უნდა გადახდეს სულ გერმანიას? ძველმა მოკავშირეებმა დასახელეს ერთი ციფრი, გერმანიამ—მეორე. ხოლო ისე დაშორებული ერთმანეთისგან, რომ იმედი დაეკარგათ შეთანხმების. ამ დროს გამოდის ამერიკელი, ექსპერტთა კომიტეტის თავჯდომარე, იონგი და არდგენს თავის ციფრს, საშუალოს. უფრო მიახლოებულს მოკავშირეების და დაშორებულს გერმანიის ციფრთან.

შედეგი ცხადი უნდა ყოფილიყო. იონგის უკან მორგანი სდგას, ამის უკან ამერიკის ბანკები, და ამათ უმისოთ კი, სულ ერთია. პარიზის შეთანხმება ფარატირა ქალაქად უნდა ქცეულიყო. მამასადამე, ჯერ გერმანიის ექსპერტმა წაღუნა თავი, მერმე მოკავშირეების, და განაცხადეს: რა გაეწყობა, ვიღებთ ამერიკის წინადადებას, ამა და ამ შესწორებით. ამა და ამ რეზერვით, დანარჩენი ჩვენმა მთავრობებმა იციან, უკანასკნელი სიტყვა მათია.

დიახ, ეს ასეა ფორმალურათ, უნაკარემ ხაზგასმით განაცხადა პალატაში: თუ ექსპერტების პროექტი არ მოგვეწონა, დოუსის გეგმა ხომ ისევ ძალაშიაო. მაგრამ ერთია უფლება, მეორე—რეალობა. ისეთი დრო დადგა, რომ მოკავშირეთ არა ნაკლებ სწადიათ შეთანხმება, ვინემ გერმანიას. ომის გათავებიდან მეთერთმეტე წელია, ყველას სწყურია მისი შედეგების ამოწურვა, კომერციალიზაცია, როგორც ესლა ამბობენ. ძალდატანებით, ეგზეკუციით ვალების გადახდევნება საზარალოა, ზოგჯერ საბედისწეროც ორივე მხრისათვის.

კანიაბლემის კითხვა.

ულრესი მნიშვნელობის იყო ჯერ კიდევ პარიზის მოლაპარაკებაში ამერიკის ერთი პრინციპიალური დათმობა, სახელდობრ ისა, რომ მან დაუშვა განსხვავება ორ თანხას შორის: ნაკლებ ხელსაყრელი პირობით თავისთვის. ვინემ სხვებისთვის. ასეთივე დათმობა გააკეთა მან ენევეაში განიარაღების კომისიის სხდომაზედ. მისმა დელეგატმა გიბსონმა განაცხადა: მართალია, ჩვენ იმავე პრინციპს ვიცავთ დღეს საზღვაო შეიარაღების შემცირების კითხვაში, რასაც წინეთ, მაგრამ, შეთანხმებას რომ მივალწიოთ, ჩვენ მზათა ვართ საფრანგეთის სქემა დავედოთ ჩვენს მუშაობას საფუძვლად, რომელიც საშუალოა ჩვენსა და დიდ ბრიტანეთის სქემათა შორისო. ლაპარაკია პოლიტიკის შარშანდელ სქემაზე, რომელიც ერთსა და იმავე დროს ანგარიშს უწყევს სამხედრო გემების, როგორც საერთო ტრანსჟს, ისე მათ კატეგორიებად დაყოფას თვითთულ სახელწიფოებისთვის.

გიბსონის განცხადებას დიდის კმაყოფილებით შეხვდენ ინგლისის, იაპონიის, საფრანგეთის დიპლომატიის დელეგატები; გერმანიის დელეგატი სდუმდა, რადგან მისი ფლოტი ისედაც მინიმუმამდეა დაყენებული... ხოლო რაც შეეხება ს. ს. რ. კავშირის დელეგატს, ისიც კი იძულებული შეიქნა წარეყრანტალებია: დიახ, მეც ხომ იმ პრინციპს ვიცავდი, რასაც გიბსონი, თქვენ კი არ მიიღეთო! ამაზე მას ერთსულოვანი ხარხარი დააყარეს.

ლიტვინოვის ბენეფისით დაიწყო მართლა კომისიის მუშაობა, მთელი კვირა მოანდომეს მისი მეორე პროექტის განხილვას, რომელიც მათემატიკურათ ან უკეთ—მექანიკურათ ამცირებდა შეიარაღებას ხმელეთზედ, ზღვაზედ და ჰაერში, მიუხედავთ განსაკუთრებულ პირობებისა თვითთულ ქვეყნისათვის. ეს მართლა არ მიიღეს, უარყვეს, ერთხმათ, გერმანიისა და ოსმალეთის დალაგაციების თავშეკავებით.

ლიტვინოვმა განა არ იცოდა წინდაწინ, რომ სხვა შედეგი შეუძლებელი იყო, მაგრამ მისი მიზანი სხვა იყო: რაც შეიძლება მეტი სადემოკრიო სიტყვების წარმოქმა «მსოფლიო პროლეტარიატის» მისამხრობათ! სწორეთ ამიტომ წამდაუწყუმ იმეორებდა ის, რომ მეორე პროექტი მხოლოდ საფეხურია პირველი პროექტის განსახორციელებლათო: სრული და დაუყონებლივი განიარაღება!

ეს გარემოება ფრიად მოხდენილი გამოდგა იმისთვის, რომ საქართველოს ელჩს წერილობითი განცხადება დაერიგებია ყველა ქვეყნის დელეგაციებისათვის, სადაც ის, გამოთქვამდა რა იქვს საბჭოთა დელეგატის გულწრფელობაში, კითხულობდა: როგორ და რა საშუალებით ფიქრობს მოსკოვი საქართველოზე, მთელ კავკასიაზე, უკრაინაზე ბატონობას, თუ ის მოსპობს ყველა მის შეიარაღებულ ძალებსო. ეს კითხვა მით უფრო ბუნებრივი იყო, რომ სწორეთ იმ დროს იღვრებოდა სისხლი აჯანყებულ აჭარაში, რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე.

დავუბრუნდეთ განიარაღების კითხვას. რადგან გიბსონის განცხადება მხოლოდ იმის მომასწავებელი იყო, რომ საზღვაო შეიარაღების შემცირებაზე ცალკე მოლაპარაკება გაიმართება მთავრობათა შორის, კომისია შეჩერდა მხოლოდ ხმელეთის და ჰაერის შეიარაღებაზედ და ბევრი სახელმძღვანელო აზრი მიიღო.

განიარაღების საერთაშორისო კონფერენციის მოწვევამდე ერთხელ კიდევ მოხდებდა, ალბათ შემოდგომაზე, კომისიის სხდომა, სადაც შემუშავდება საბოლოო დასრულებული პროექტი.

პროკრუსტოს სარკმელი

თუ გსურს საბჭოთა პირობებს შეეგუო, ჯერ მუცლით ხოხვა უნდა ისწავლო და ქვენა ზრახვებით აავსო გრძობისა და გულის სამეფო. მაგრამ ამას ვერ იქმ თუ გონება კუჭზე არ დააბი და წურბელას ინსტინქტი არ აამუშავე. მოკლეთ: გინდა თავზე ხელი მოგისვან? მაშ გახდი ლაქია და სინდელის «მოცი-



ქული, თორემ ვაი ჭკუისაგან! რომ ეს ასეა, თავისივე პირით დალაღებს 31 მარტის «კომუნისტში» ვინმე «კვესი». საბჭოთა ინტიმურ სინენლეში ტალკვესის გაკერა? ამას რალა სჯობია. საბჭოთა ყურმოჭრილმა მონამ ყური გამოიბას და მთავრობის ცოდვები ამხილს? ეს ხომ კანის სასწაულზე მეტი საოცრებაა. მაგრამ ყველა ეს ცოდვები უნდა აიკინძოს ერთ ლოლიკურ ძაფზე, რომელსაც საბჭოთა სენის უკურნებლობა ეწოდება.

ავილოთ ერთი სანიმუშო ფაქტი. არა იმიტომ რომ ერთ ფაქტს გვინდა ჩავებლაუჭოთ, არანედ იმიტომ, რომ ეს ფაქტი ყოველდღიური მოვლენაა და ვერავთარი უჩინ-მაჩინის ქუდი მის თვალსაჩინოებას ვერ შეასუსტებს. საბჭოთა ბრწყინვალე ოქროპირი გულუბრყილოთ მოგვითხრობს ყველაფერს. მაგრამ მოგვიანებით, როცა ქუთაისის საბჭოთა საბატონოში მომხდარი სკანდალი ტურებმაკი გაიგეს და სამალავი უკვე აღარაფერი იყო. ამრიგათ სახანინო პრესამ ერთი გასტომით ორი კურთღელი უნდა დაიჭიროს: შექმნას ილიუზია კრიტიკის თავისუფლებისა და ხალხს მოაჩვენოს, რომ საბჭოთა სისტემა სიცოცხლით და დინამიკით აღსავსეა.

საქმე შეეხება ხრესილის თემის ექიმს, რომლისაგან თემის პატრონი (და თავზე მჯდომარე), ბ. გოჩოლაშვილი, მოითხოვდა უკანონო მოწმობის გაცემას: მორიგი მსაჯული სასამართლოში არ გამოცხადდა და თუ ავთმყოფობის ყალბი მოწმობა არ მიეცი, დაჯარაიმებენ; ან და: დაჭრილი ვნახეთ და ჩემის აზრით სასიკვდილო არა უშავს რა, შესცვალე მოწმობა, თორემ საწვალ იმ ქალს, რომელმაც დასჭრა, შაირს მოსდებენ. რა უნდა ქნას ექიმმა? მას არ აქვს მუშაობის საღი პირობები, არც მატერიალური არც ტექნიკური, არც მორალური; მასში უნდა დაიძინოს ადამიანმა და ორფეხა პირუტყვმა გაიღვიძოს. სხვა გზა თავის გატანისა გამოირიცხულია. ბ. «კვესს» ეს გულისმოსაფონი მდგომარეობა კარგათ შეუგნია და ჩინებული რეცეპტიც გამოაუჩნავს. მისი აზრით, საბჭოთა მხსამსახურემ «უნდა გამოიბას შაქრის ენა, ქელი მოიხაროს, დაპკარგოს საკუთარი აზრი და უნდა გადაიქცეს ცოცხალ მანქანად, ან... კუდით ქვა ისროლოს. მაგრამ ყველას როდი შეუძლია სიტყვა შაქრად ჩამოადნოს და საბჭოთა შხამიან არსებას პარკში შხამი დაუტკბილოს. ექიმმა უსამართლობის კვალი არც დააბნია. არც უჩინარი მტრების მზაკვრულ მოქმედებას გადააბრალა. მან გულახდილათ გაამყლევანა სინამდვილე და და გულახდილათ შეიქნა მისი ათვალწუნების და გაკიცხვის მიზეზი. ცულიდანინ და უცულოდ ყველა უდანაშაულო კაცს წაესია, ტალანი ესროლეს და ტალანს ქვაც გააყოლეს. შეიძლება ადგილიდან კიდევ არ მოეხსნათ, რომ მისი გულახდილობის ამბავი არ გაეგო საქართველოს საპატრიო მეცხვარეს, რომელიც თვითონ კრემლის ხაზეინების ჩაის ფულს მიშტერებია და ცხადია თავის საბატონოშიც ფინიობასა და წრუწუნს ვერავის დოუშლის. ესე იგი: ბიძია, რა გიჭირდა ქვევრად დარჩენილიყავ და რასაც ჩავდაჩნებდენ, ის ამოგვძახა, ჩვენ თუ წავხდით, შენც წამხდარიყავ, რა თავი გტკიოდაო. უკვე ათი დღის შემდეგ, რაც საქმეში საპატრიო მეც-

ხვარის ყაენური აღმაგებულება ჩაერია, ხალხის მოსამსახურეს ლოთისა და უდიერი კაცის მოწმობა ჩაუჯიბეს და გაადგეს სასოწარკვეთილებისა და წვალების გზაზე. რატომ? მთვრალი რომ არავის უნახავს? უდიერგ რომ არასოდეს ყოფილა? იმიტომ, რომ საბჭოთა ავთმყოფი მექანიზმი ისე ვერ ამუშავდება. თუ უსამართლობის ზეთით არ დაიხეთა.

ია.

ნ. ქედდანიას ლექცია.

მაისის 12, კვირას, ქართველ სტუდენტთა კავშირის ინიციატივით, მრავალრიცხოვან საზოგადოების წინაშე ბ. ნოე ქორდანიამ წაიკითხა მოხსენება (პირველი ნახევარი) რუსთაველის «ვეფხისტყაოსანის» შესახებ. მომხსენებელმა გაატარა პარალელი საქართველოს ისტორიის ეპიზოდებსა და უკვდავი ნაწარმოების შინაარს შორის და ის აზრი გამოსთქვა, რომ «ვეფხისტყაოსანი» სრულიად ქართული შემოქმედებაა და გამოხატავს იმ დროინდელ ქართველი ერის ცხოვრებას. მერე აღნიშნა პოემის ენის სიმარტივე და სიმშვენიერე, დაახასიათა მომქმედი პირები, რომელთა შორის ქალები ყოველთვის პირველ ადგილზე დგანან; განსაკუთრებით შეჩერდა სიყვარულის გაგებაზე. როგორც ეს «ვეფხისტყაოსანში» დახატული, და ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ რუსთაველმა რამოდენიმე საუკუნით ადრე, ვიდრე ეს ევროპაში მოხდა, მოგვცა ნამდვილი რომანი. დამსწრე საზოგადოებამ დიდის ყურადღებით მოისმინა მოხსენება, რომელიც თავიდან ბოლომდე გამსჭვალული იყო ქართული კულტურის ღრმა სიყვარულით და პატივისცემით. მოხსენების მეორე ნახევარი წაკითხული იქნება ახლო მომავალში.

ქართველები ხარბინში

კვირას, ა.წ. მარტის 31, ხარბინის ქართველ საზოგადოების სახლში შესდგა საზოგადოების წლიური კრება. დღის წესრიგში დასმული იყო გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენება, არჩევნები და მიმდინარე საკითხები.

კრების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ბოლქვაძე მდივნად კვილია. თავმჯდომარის წინადადებით კრებამ მიიღო და დაავალა პრეზიდიუმს გაუზნავოს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს ბ.ნ ნოე ქორდანიას შემდეგი შინაარსის მისალმება:

«ხარბინის ქართველი საზოგადოება, შეკრებილი თავის წლიურ კრებაზე მოგესალმებათ თქვენ, საქართველოს კანონიერ მთავრობის თავმჯდომარეს და მის ეროვნულ გმირსა და ერის სინდისს, გისურვებს დაუშრეტელ ძალ-ღონესა და მხნეობას, რათა შეუდრეკლათ განაგრძოთ ვერაგ მტრისაგან დროებით დაპყრობილ საზოგადოებს განთავისუფლებისა და მისი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმე.

გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს და მის კანონიერ მთავრობას».

გამგეობის მოქმედების შესახებ მოხსენება გააკეთა მის ტენიკურმა მდივანმა კ. კვიციანი.

უქველად აღსანიშნავია, რომ ამ საანგარიშო წლის განმავლობაში, შედარებით წასრულთან ბევრი რამ გაუკეთებია გამგეობას. უმთავრესათ საყურადღებოა ქართული ენის კურსების გახსნა, მისი მოწყობა და სათანადო სახელმძღვანელოების საქართველოდან მიღება; საზოგადოების წესდების დამტკიცება ჩინეთის ხელისუფლების მიერ (წინეთ რუსეთის ხელისუფლების მიერ იყო დამტკიცებული) და ახლად დაბეჭდილ საწევრო წიგნაკების დარიცხვა წევრებისათვის და სხვა მრავალი საკითხების მოგვარება. მოხსენების დიდი ნაწილი გამგეობის მოღვაწეობის ფინანსურ მხარეს შეეხებოდა, მაგრამ მისი განხილვა ღიათ დარჩა, ვინაიდან კრებას თავასი დასკვნა არ წარმოუდგინა სარევიზიო კომისიამ. რისთვისაც საზოგადო კრებამ საყვედური გამოუცხადა მას და დაავალა ახლად არჩეულ სარევიზიო კომისიას რევიზიის მოხდენა.

ქართული ენის კურსების არსებობის საქმეს მკვიდრი საფუძველი ეყრება. გამგეობამ საზოგადო კრებას წარმოუდგინა დასამტკიცებლად გეგმა და ხარჯთ-აღრიცხვა ახალი სასკოლო შენობის მოსაშენებლათ, ვინაიდან კურსებისათვის თავისუფალი ბინა არ არის, — საზოგადოების სახლის ერთი ნაწილი მიქირავებული აქვს კორეელების სასწავლებელს და მეორე უკავია ქართველების მიერ დაარსებულ ბიბლიოთეკას. კრებამ დაამტკიცა ხარჯთ-აღრიცხვა და ნება დართო გამგეობას ახალი შენობის აგებისა.

ცხარე კამათი გამოიწვია გამგეობის წინადადებაში, რომ არავითარი დახმარება არ გაეწიოს იმ პირებს, რომლებიც არ ეწევიან საზოგადოების წევრებათ, არ დადიან საზოგადოებაში და არავითარ მონაწილეობას არ ღებულობენ საზოგადოების საქმიანობაში.

სიმართლე უნდა ითქვას, რომ ასეთი ავთომოფობით მართლ შორეულ აღმოსავლეთის ქართველები არ არიან შეპყრობილი, ეს საზოგადო ქარველური სენია. ჯერ კიდევ ნათლად ვერ წარმოუდგენია ბევრ ქართველს საზოგადოებრივ საქმიანობის მნიშვნელობა და მისი დანიშნულება. მაგრამ თუ ეს მოსათმენია საკუთარ მიწაწყალზე, შენს სამშობლოში, ყოვლად დაუშვებელი და შეუძლებელია უცხო ქვეყანაში. აქ ერთად ერთი ხსნა კოლექტიურ, საზოგადოებრივ შეჯგუფება-მუშაობაშია. და ეს უფრო საჭიროა აქ, ჩინეთში, სადაც პიროვნების საკითხი, უფლება-სამართალი ჯერ კიდევ მიჩქმალულია.

ხარბინსა და მის მიდამოებში ათეული წლებით ცხოვრობს ზოგიერთი ქართველი და მას ერთხელაც არ შეუხედია «საზოგადოებაში». სამწუხარო ის არის, რომ მათ რიცხვში ბევრი ინტელიგენტიც მოიპოვება და ისეთიც, რომელზედაც ამაგი აქვს გაწეული «საზოგადოებას». ასეთი პირების არსებობა ცხადი ხდება საზოგადოებისათვის მაშინ, როდესაც მათ რაიმე დასჭირდებათ. ისინი არ ფიქრობენ საზოგადოებაზე, როდესაც თვითონ უზრუნველყოფილი

არიან. ვერ წარმოუდგენიათ, თუ რა ადვილია ცხოვრებაში ყოველივეს დაკარგვა და უპატრონოთ დარჩენა სხვის. უცხო, ქვეყანაში. ამის მაგალითი უკვე ბევრია. საზოგადოება ინახავს ზოგიერთ დავრდომილთ, დახმარებას აძლევს ქვრივ-ობლებს და სხვა.

ჩვენ ვფიქრობთ ეს გაკვეთილი უნდა იქნეს ბერისათვის და შეიგონ, რომ საჭიროა ამ უცხოთა შორის თავის «საზოგადობის» გარშემო შემოკრება, მისი გამაგრება და იქ მუშაობა.

საზოგადო კრებამ მიიღო გამგეობის წინადადება და უფლება მისცა მას მტკიცეთ გაატაროს ის ცხოვრებაში და ამის შესახებ მოათავსოს ინფორმაცია როგორც ქართულ, ისე რუსულ პრესაში და მიიღოს ყოველგვარი ზომები ქართველების შემოსაკრებად საზოგადოების გარშემო.

სხვა საკითხების მოგვარება-დამტკიცების შემდეგ მოხდა არჩევნები.

გამგეობაში არჩეული იქმნენ: ი. ხაინდრავა, ი. ლლოტი, კ. კვიციანი, დანელია და ბოლქვაძე; მაგრამ ვინაიდან დანელიამ და ბოლქვაძემ გადაჭრილი უარი განაცხადეს დროს უქონლობის გამო მიღებული ხმების მიხედვით გამგეობაში შევიდნენ ბარამიძე და ხუნდაძე.

კანდიტატებათ: ქაჯაია, მიქატაძე და შადური. სარევიზიო კომისიაში არჩეულ იქმნენ: ბოლქვაძე, ფულარია და გ. მასხულია. კანდიტატებათ-შობაძე და ყრუაშვილი.

დ. ბოლქვაძე.

ო შ მ ი

ქმედველ-დემოკრატიულ პარტიის პასუხისმგებელ წევრთა კრებისა, სამხლვარ-გარედ,

28 აპრილს 1929 წ. პარიზში.

თავმჯდომარეობს ბ. ექვთიშვილი, დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგი და ერთი დამაარსებელთაგანი ეროვნ.-დემ. პარტიისა.

კრებას დაესწრენ:

- |                                                 |                                        |
|-------------------------------------------------|----------------------------------------|
| 1. ივ. ხუბანძიშვილი, თავმჯდ. პარიზის კომიტეტისა | } დამაარსებელი ეროვნ.-დემოკ. პარტიისა. |
| 2. გ. გვახავა, წევრი დამფ. კრებისა              |                                        |
| 3. პაპ. თუშანიშვილი                             |                                        |
| 4. დავ. სხირტლაძე                               | } წევრი პარიზის კომიტეტისა.            |
| 5. ნიკო ჯაყელი                                  |                                        |
| 6. ი. სარჯველიძე                                |                                        |
| 7. დ. ანსაზი — თანამგრობი.                      |                                        |

განსახილველად იდგა საკითხი შესახებ იმ მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა პარტიისათვის კომიტეტის წევრის ბ. რეზო გაბაშვილის განცხადების გამო მთავრობის თავმჯდომარის სახელზე.

გამორკვეა შემდეგი:

ბ-ნ რეზო გაბაშვილს წარუდგენია პარტიის კომიტეტის სახელით ეროვნულ ცენტრში მემორანდუმში ულტიმატიური მოთხოვნილებისა, შემდეგ საჭიროდაც არ დაუნახავს მოყვარადა პასუხისათვის, და განუცხადებია წერილობით მთავრობის თავმჯდომარეობისა.



რისათვის პარტიის სახელით, რომ ეროვნულ-დემოკრატიული პარტია გამოდის საერთო ეროვნულ ფრონტიდან და იწვევს ყველა პარტიულ წევრს ყველა საერთო ფრონტის ორგანიზაციებიდან.

მსჯელობის შემდეგ კრებამ დაინახა, რომ ეს ფრიად საპასუხისმგებლო ნაბიჯი, რომელიც არღვევს ეროვნულ ფრონტის მთლიანობას, არ შეეფერება არც პარტიულ პროგრამას, არც მის ტაქტიკას და ამავე დროს მოკლებულია ყოველ უფლებრივ საფუძველს. ვინაიდან:

1. პრინციპი ეროვნულ ფრონტის მთლიანობისა მიღებული იყო საქართველოში, სადაც დამყარებულია მთელი სიმძიმე პარტიული მუშაობისა; ამიტომ იქ მებრძოლ ორგანიზაციის დაუკითხავად და მხოლოდ სამზღვარ-გარედ დროებით შექმნილ ორგანიზაციის მიერ გადალახვა ამ პრინციპისა ყოველად შეუწყნარებელია.

2. ზემო მოყვანილი განცხადება მიღებულია მხოლოდ ზოგიერთ წევრთა-მიერ მათი კვრძო შეთანხმებით; იგი არც კი ჰსცოდნია ბევრს დამსახურებულ და პასუხისმგებელ კომიტეტის წევრს, უწინარეს ყოვლისა თვით თავმჯდომარეს, ბ-ნ ზურაბიშვილს, რომელიც ფორმალურად პირველი პასუხისმგებელი პირია კომიტეტის მოქმედებაში.

ამიტომ იბადება უფრო ვრცელი საკითხი, თუ რამდენად, შექმნილ პირობებში, ის კომიტეტი, რომლის სახელით კმოქმედებდა ბ. რ. გაბაშვილი, შეიძლება ჩაითვალოს პარტიის ნებისყოფის გამომხატველად და რამდენად შეუძლია მას აწარმოოს პარტიის სახელით პარტიული მუშაობა?

კრება აღნიშნავს, რომ ეს კომიტეტი, რომელსაც ეწოდება «გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სამზღვარ-გარეთელი ბიურო», შემდგარი იყო 1925 წელს შეთანხმებით. ამ შეთანხმებაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ყველა პასუხისმგებელი სამზღვარ-გარედ მყოფი პარტიული წევრი, ე. ი. დამფ. კრების, მთავარი კომიტეტის და ადგილობრივი კომიტეტის წევრები—სულ 15 კაცი, და კოლტაციით მოწვეული კიდევ არი-სამი პირი. ეგ შეთანხმება იყო აგებული უპირველეს ყოვლისა საერთო ეროვნულ ფრონტის დაცვის და გაძლიერების პრინციპზე. ესლა ეს შეთანხმება დაირღვა, იგი არ არსებობს, ვინაიდან სხვადასხვა დროს, სხვადასხვა მიზეზების გამო. უფრო კი იმ ატმოსფერის გამო, რომელიც შეიქმნა ზოგიერთ წევრის მოღვაწეობის წყალობით, ამ კომიტეტიდან გავიდნენ 11 (თერთმეტი) პირი, იმათ შორის თვით თავმჯდომარეც. ცხადია, ის კომიტეტი, რომელიც დაარსდა მხოლოდ შეთანხმებით და რომელსაც არა ჰქონდა და არა აქვს სხვა რაიმე საფუძველი თავის არსებობისა, გარდა ამ შეთანხმებისა, ესლა ამ შეთანხმების მოსპობით მოიხსპო თვითონ. ესლა კომიტეტი არ არსებობს.

საპირობება კი ნამდვილ პარტიულ ორგანოს შექმნისა სამზღვარ-გარედ ექვს გარეშეა: ასეთ ორგანომ უნდა განაცხოველოს პარტიული მუშაობა, განამტკიცოს მთლიანი ეროვნული ფრონტი და წინ გადაეღობოს ყოველ იერიშს, საიდანაც ის არ მოდი-

ოდეს, წინააღმდეგ საქართველოს მთლიანი სახისა, როგორც საერთაშორისო ერთეულისა. ასეთი ორგანო შეიძლება შეიქმნას მხოლოდ იმ პირთა ირგვლივ, რომლებიც ჰმუშაობდნენ პარტიაში დღიდან მისი დაარსებისა, იყვნენ გამომხატველნი მისი პროგრამის და დამსახურეს მისი ნდობა. ასეთნი არიან: პარტიის დამაარსებელნი, დამფუძნებელი კრების წევრნი, წევრნი მთავარი კომიტეტისა და წევრნი ადგილობრივი კომიტეტისა.

მიიღო რა მხედველობაში ყველა აღნიშნულნი გარემოებანი,

კრებამ დაადგინა:

1.—ზემოხსენებული განცხადება ბ. გაბაშვილის შესახებ მთლიანი ფრონტის დაშლისა ჩაითვალოს ყოველ საფუძველს და ძალას მოკლებულად. ის არ არის სავალდებულო ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წევრებისათვის.

2.—1925 წელს შეთანხმებით დაარსებული ე. წ. «გაერთიანებული ეროვნულ-დემ. პარტიის სამზღვარ-გარეთელი ბიუროს» გამომცხადებელ იქმნას ფაქტიურად დაშლილად და გაუქმებულად.

3.—დაარსდეს ამ კრებაზე დამსწრე პარტიის პასუხისმგებელი წევრებისაგან—რომელთა რიცხვში შედიან პარტიის დამაარსებელნი, დამფუძნებელი კრების, მთავარი კომიტეტის და ადგილობრივი პარტიის კომიტეტის წევრნი—სამზღვარ-გარეთელი პარტიული ორგანო, ამ სახელწოდებით: «სამზღვარ-გარეთელი კომიტეტი ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიისა»; და აღიარებულ იქმნას იგი როგორც ერთადერთი უმაღლესი ორგანო გაერთიანებულ ეროვნულ-დემ. პარტიისა, რომელმაც უნდა იქონიოს სათანადო კავშირი საქართველოსთან.

4.—ყოველ წევრს დამფუძნებელ კრებისა და მთავარი კომიტეტისა, თუ ის კიდევ არის პარტიის წევრი და იზიარებს მთლიანი ეროვნული ფრონტის პრინციპს, უფლება აქვს გახდეს ამ კომიტეტის წევრი;

5.—კრება ერთხმად ირჩევს კომიტეტის ბიუროს შემდეგი პირებისაგან:

- თავმჯდომარე ვ. ზურაბიშვილი
- თავმჯდ. ამხანაგი გ. კვახავა
- ხაზინადარი დ. ხსირტლაძე
- მდივანი იოსებ სარჯველაძე.

წარმომადგენლებად ეროვნულ ცენტრში: ო. სურაბიშვილი და გ. კვახავა.

ხელს აწერენ: ე. თაყაიშვილი, ო. სურაბიშვილი, გ. კვახავა, ვ. თუქანიშვილი, დ. ხსირტლაძე, ნ. ჯაყელი, ო. სარჯველაძე, დ. ამხანა.

იბეჭდება და ახლო მომავალში გასასყიდათ გამოვა ხელფენებისა და მეცნიერების კრებული:

„კ ა ვ კ ა ს ი ო ნ ი“  
წიგნი მეორე

Redaction et Administration.  
M. J. GOBETCHIA  
7, rue de Ponthieu, 7. Paris.

Le Gérant : A. LARGILLIÈRE.